cyan magenta yeloow black

საქართველოს რესპუბლიკა

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიერებით ბუტთის გაფანა ყვეღა უკარისიბაზე უსაძაგღესია.

სამშაბათი, 12 იანვარი. 2016 წ. №5 (7897), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რასაც ჩვენს გაზეთში ნაიკითხავ, სხვანა ვინ ნახავ!..

ნუ დავამახინჯებთ ქათქათა ბათუმს... ⑥

თქვენ ცრუობთ, ბატონო პრეზიდენტო! ④

პოლიტპატიმრები ელისაშვილს ნაციონალებთან ერთად იბარებენ ③

დაყოვნება არ ეგების! ⑤

პროფესიონალის მოსაზრება ქ. თბილისში სატრანსპორტო მოძრაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით

დაგემოვნებულ გოზინაყზე - არსებითად... მომჭმელსა და მოჭმულზე - ზოგადად ③

ერის კულტურა მარტო ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოებით არ გამოიხატება ⑧

რა სნეულებით იტანჯებოდნენ ცნობილი ადამიანები ⑨

გაუგრძელებენ თუ არა „ქართულ ოცნებას“ კონტრაქტს? ⑦

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.417; ევრო - 2.627;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.531;
100 რუბლი - 3.29; თურქული ლირა - 0.808;
აზერბაიჯანული მანათი - 1.559;
1000 სომხური დრამი - 5.006

ამინდი 12 იანვრისთვის

აღმოსავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე -1,	დღე +14
მთიანი რაიონები -	ღამე -5,	დღე +9
დასავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე +4,	დღე +18
მთიანი რაიონები -	ღამე 0,	დღე +10
თბილისი:	ღამე +2,	დღე +11

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რედაქცია:
293-37-87,
599-79-76-79

სამთავრობო ცვლილებებზე კონსულტაციები ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გიორგი ვოლსკის ინფორმაციით, სამთავრობო ცვლილებებზე ამ ეტაპზე არანაირი კონსულტაციები არ მიმდინარეობს.

„საფუძველი იმისა, რომ მინისტრები შეიცვალონ, დარგებს არ ეტყობა. დარგებში არ არის ისეთი მდგომარეობა, რომ მინისტრების შეცვლის აუცილებლობას ითხოვდეს. საჭიროა სტაბილურობა.

მინისტრები დასახული ამოცანების მიხედვით მუშაობენ და თავად გიორგი კვირიკაშვილი გადაწყვეტს, თუკი მთავრობაში ცვლილებების აუცილებლობა დადგება“.

„ბრავო“ ასეული ავღანეთშია

საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის „ბრავო“ ასეულის პირადი შემადგენლობა უკვე ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაშია და პროვინცია მაზარ-ი-შარიფში მდებარე ბაზა „მარმალზე“ შეასრულებს სამშვიდობო მისიას.

„ბრავო“ ასეული როტაციის წესით 32-ე ბატალიონის ალფა ასეულს ჩაანაცვლებს. ქართველი ჯარისკაცები გერმანული ბუნდესვერის სარდლობის დაქ-

ვემდებარებაში, კოალიციის სხვა წარმომადგენლების გვერდი-გვერდ სამშვიდობო მისიას შვიდი თვის განმავლობაში შეასრულებენ.

ისლამურ რესპუბლიკაში ჩასულ ასეულს ბაზაზე ავღანეთში საქართველოს უფროსი სამხედრო წარმომადგენლის მოადგილე, ვიცე-პოლკოვნიკი მალხაზ კალმახელიძე, წარმომადგენლობის მეკავშირე ოფიცერი, ვიცე-პოლკოვნიკი ზაალ ზაალიშვილი და „ალფა“ ასეულის მეთაური, მაიორი ირაკლი სურგულაძე დახვდნენ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის „ბრავო“ ასეულის მთავარი ამოცანა ბაზა „მარმალის“ უსაფრთხოების უზრუნველყოფა იქნება.

თბილისის მეტროპოლიტენი იუბილარია

გუშინ თბილისის მეტროპოლიტენის ექსპლუატაციაში შესვლიდან 50 წელი შესრულდა. თბილისის მეტროპოლიტენმა პირველი მგზავრები 1966 წლის 11 იანვრის დილის 6 საათზე, სადგურ „დიდუბიდან“ — „რუსთაველის მოედნამდე“ გადაიყვანა. პირველი საცდელი მატარებელი კი საცდელ რეისზე მემანქანე ნოე ლაცაბიძემ 28 ნოემბერს გაიყვანა. ამჟამად თბილისის მეტროში 22 მოქმედი სადგურია.

თბილისის მეტროს სისტემის რეკონსტრუქცია 2006 წელს დაიწყო, აღდგა სადგურების უმრავლესობა და განახლდა ელმავალვაგონები.

ამჟამად, მიმდინაროებს მეტროსადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობა, რომელიც მეტროპოლიტენის 23-ე სადგური იქნება.

დიდი მადლობა ყველას, ვინც, კი ერთი ხმა მისცა ჩემს შვილს!

ზაზა ფაჩულიას დედა სოციალური ქსელის მეშვეობით მიმართვას ავრცელებს და თანამემამულეებს კალათბურთელის მხარდაჭერისთვის მადლობას უხდის.

„თანამემამულენო, ზაზა ფაჩულია, როდესაც NBA-ას დრაფტზე იყო წარდგენილი, ვიჯექი და ჩუმად ვნერვიულობდი. ველოდებოდი, ჩემს თავს ვამშვიდებდი, იქნებ აიყვანონ გუნდში,თუ არა და არც ესაა პრობლემა-მეთქი.

ასე ნამდვილად არ მინერვიულია, როგორც ახლა. ამ ნერვიულობის მიზეზი ის კი არ არის, ზაზა ითამაშებს თუ არა ყველა ვარსკვლავში (შვილი ყველა დედისთვის ვარსკვლავია), ასეთი მხარდაჭერა, ასეთი ერთსულოვნება, ასეთი სურვილი, ქართველმა, მონაწილეობა მიიღოს, ყველა ვარსკვლავში, ამდენი სიყვარული, მინდა დაფასდეს.

მინდა, უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ (როგორც ზაზას დედამ) ვინც თუნდაც ერთი ხმა მიეცით, ვისაც დიდი სურვილი გქონდათ, მაგრამ, ვერ შეძელით.

ამაყი ვარ, (როგორც ყოველთვის), რომ მე საქართველოს შვილი ვარ“, — წერს მარინა კობახიძე.

ვირუსს თებერვალში უნდა ველოდოთ

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გრიპის ვირუსს ებრძვიან. უკრაინის ქალაქ კრამატორსკში 2 კვირის განმავლობაში 15 ადამიანი დაიღუპა. უკრაინის ჯანდაცვის დეპარტამენტის ინფორმაციით, ქალაქის საავადმყოფოში 180 ადამიანი, მათ შორის, 22 ბავშვი იმყოფება. გრიპის ვირუსს მსხვერპლი მოჰყვა სომხეთშიც. გარდაცვლილია 4 ადამიანი. შექმნილი ვითარების მიუხედავად, სპეციალისტები საქართველოში მდგომარეობას სტაბილურად აფასებენ. დაავადებათა კონტროლის ცენტრში განმარტავენ, რომ ვირუსის გავრცელების პიკს თებერვალში ელოდებიან, თუმცა საგანგაშო არაფერია. როგორც წინა წლებში, დღეისათვის საქართველოში გრიპის ვირუსის დაბალი ინტენსივობა ფიქსირდება.

გუდაურში ტრაგიკულად დაღუპული გოგონა სალომე ტატიშვილია

გუდაურის სამთოსათხილამურო ტრასაზე ტრაგიკულად დაღუპული 12 წლის გოგონა სალომე ტატიშვილია. ის თბილისის მე-6 საავტორო სკოლაში სწავლობდა.

„მოულოდნელი ტრაგიკული შემთხვევის შედეგად დაიღუპა სალომე ტატიშვილი, ჩვენი სკოლის VII კლასის ყველაზე გამორჩეული, ყველაზე ლამაზი, ყველაზე ნიჭიერი და ჭკვიანი სალომე. მთელი სკოლისთვის ეს განუზომელი ტკივილია, რომელსაც სიტყვები ვერ გამოხატავს...“, — ნათქვამია ამავე სკოლის ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე განთავსებულ სამგლოვიარო განცხადებაში.

გოგონას სათხილამურო ტრასაზე სრიალისას დიდი სიჩქარით ახალგაზრდა მამაკაცი დაეტაკა. სალომე ტატიშვილი ადგილზე დაიღუპა. გამოძიება გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მუხლითაა დაწყებული.

შეზღუდვები ძალაში რჩება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ დროისათვის მგზავრთა უსაფრთხოების მიზნით, საავტომობილო გზების გარკვეულ მონაკვეთებზე დაწესებულია შემდეგი სახის მოძრაობის რეჟიმები:

თოვლისა და ლიპყინულის გამო, მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის არაგვისპირი-გუდაური-ლარსის მონაკვეთზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის

მოძრაობა გუდაური-კობის მონაკვეთზე დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო არაგვისპირი-გუდაურის(ფოსტა) და კობი-ლარსის მონაკვეთზე თავისუფალია. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა მთელ გზაზე თავისუფალია.

ინტენსიური წვიმების შედეგად გამოწვეული ზვავსაშიშროების გამო, ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის კალა-უშგულის მონაკვეთზე აკრძალულია ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა. ამავე გზის ხაიში-კალას მონაკვეთზე ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია, დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ხოლო ზუგდიდი-ხაიშის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის ტყიბული-ნიკორწმინდის მონაკვეთზე, ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების შედეგდად, ავტოტრანსპორტის მოძრაობისას მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენების რეჟიმი მოიხსნა და თოვლისა და ლიპყინულის გამო, აკრძალულია მხოლოდ მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო (ძლიერი ქარბუქის და დაბალი ხილვადობის გამო), კოდა-ფარცხისი-მანგლისი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის საუღელტეხილო მონაკვეთზე ნარდევანი-როდიონოვკას(ფარავანის) მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

ცეზიუმს ასი ათასად ჰყიდდნენ!!!

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობისა და გასაღების ფაქტზე დანაშაულებრივი ჯგუფის

წევრები: 1979 წელს დაბადებული მირიან ბ, 1971 წელს დაბადებული კონსტანტინე ბ. და 1976 წელს დაბადებული იოსებ ჩ. დააკავეს. აღნიშნული პირები თბილისში, რადიოაქტიური ნივთიერება ცეზიუმ 137-ის გასხვისებას 100 000 აშშ დოლარად აპირებდნენ, რა დროსაც ისინი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დააკავეს. ამოღებულია რადიოაქტიური ნივთიერება ცეზიუმ 137.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა განკარგვის მიზნით უკანონოდ შეიძინეს და ქ. თბილისში უკანონოდ, დადგენილი წესების დაუცველად, შეინახეს რადიოაქტიური ნივთიერება — ელემენტ ცეზიუმის რადიოაქტიური იზოტოპი Cs137 (ცეზიუმ 137). აღნიშნული ნივთიერება წარმოადგენს ბირთვული რეაქციის პროდუქტს და რადიოაქტიური (გამა) გამოსხივების დოზის სიმძლავრის და თვით წყაროს რაობის გათვალისწინებით, საქმეზე ჩატარებული რადიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

გამოძიება რადიოაქტიური ნივთიერებისადმი უკანონო მოპყრობისა და გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს.

დაკავება საბაჟოზე

ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტის უკანონო შემოტანის მცდელობა აღკვეთეს საბაჟო გამშვები პუნქტის, „სადახლო-საავტომობილოს“ მებაჟე ოფიცრებმა. 10 იანვარს, „სადახლო-საავტომობილოს“ კონტროლის ზონაში შემოსული საქართველოს მოქალაქე გ.ტ.-ის ეჭვის საფუძველზე ფიზიკური დათვალიერების შედეგად, მათ მგზავრის სხეულზე ორ პოლიეთილენის პარკში მოთავსებული 459 აბი ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი „პირალგინი“ აღმოაჩინეს.

საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს მარნეულის რაიონულ სამმართველოს.

◎ ამ ზეიმეებმაც ჩაიარა...

დაგემოვნებულ გოზინაყზე – არსებითად, მომჭმელსა და მოჭმულზე – ზოგადად

26 დეკემბერს პოლიტიკური ასპარეზიდან მოულოდნელად და დაუმსახურებლად გამქრალი ირაკლი ღარიბაშვილი ნაახალწლევს ტელეეკრანზე ისევ გამოჩნდა და, ბუნებრივია, სენსაციების ნაკლებობით შეჩქვიფებულმა საზოგადოებამ უმალ გამოფინა ენები გასაშრობად.

რა ვარიანტები არ გადმოიღვარა.

იჩქარა ირაკლიმო, — გულდაწყვეტით ჩაიკრა მკერდში მჯიღი ბიძინა ივანიშვილმა.

მჯიღი კი ჩაიკრა, მაგრამ ცოტა გაუგებარი იყო:. რა იჩქარა ირაკლიმ — თანამდებობიდან წასვლა თუ რიგის დაკავება ახალი სახელოს მისაღებად?

თანაც ეს ფამილარულ-შინაურული „ირაკლი“ რას ნიშნავდა? თუ „ჩემს ირაკლის“, მაშინ ორი კვირის წინათ საღსალამათი პრემიერის ასეთი გამაოგნებელი, სწორედ რომ დევიდ კოპერფილდური გაუჩინარება რა იყო? „ჩემს ირაკლის“ ეგებოდა ასეთი გიგანტური სლალომი „ქაჯეთის ციხის“ მეთერთმეტე სართულიდან?

ამასთან დაკავშირებით რაღაც წაიკბინა კიდეც ნაცების დიდმა პიტალომ ნუგზარ წიკლაურმა — ვითომ, ბიძინას აზრს რა აზრი აქვსო.

ხისთავიანმა წიკლაურმა კი არა, შეიძლება ტვინით გატენილმა როინ ლიპარტელიანმაც ვერ გაიგო თავის დროზე პრემიერ ღარიბაშვილის გამოცვლის რებუსი, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ბიძინას უაზრო უძახოს ყველა მართლა გონებაბრჯგუმ ნებისმიერს დაებადება შეკითხვა: ივანიშვილის აზრს არა აქვს აზრი და წიკლაურის აზრს აქვს აზრი?

ამასობაში ჯერ ახალწლის, შემდეგ კი შობის დღესასწაულიც მიილია, 2016 თავის სამოქმედო გრაფიკში ჩაჯდა და მუხრუჭები აუშვა.

ორკვირიან ზეიმებს რაიმე განსაკუთრებული ექსცესები და უჩვეულო მოვლენები არ მოჰყოლია...

ცხოვრება მიდის, მიჩანჩალებს, ავად თუ კარგად წინ მიღოღავს და რამდენიც გინდა იძახოს ოპოზიციამ, არ ვიძვრით, ადგილზე ვდგავართო, მაინც მივდივართ. რაც მთავარია, ეს თვით ოპოზიციამაც მშვენივრად უწყის და იმის გამუდმებულ მეცადინეობაშია, ისეთი რამ შეუთხზას და წამოაძახოს ხელისუფლებას, რომ საკუთარი იდაყვები დააკბენინოს.

აი, თუნდაც ისეთი, რისთვისაც აფრიკული და არაბული ქვეყნებიდან გამოსულ მიგრანტ მამაკაცებს ეძებს გერმანიის გულგადალეული პოლიცია: ხიზნებმა, რომლებიც სამშობლოდან შიმშილს, უმუშევრობას, სიკვდილის შიშს გამოექცნენ, ახალწლის ღამეს ხვანჯრები მოიშილიფეს და მცირე ჯგუფებად დაერივნენ ქალებს. იმ ღამეს ცოდვის კითხვა დატრიალდა გოეთეს სამშობლოში: სექსუალურ ძალადობაში მონაწილეობდა 18-25 წლის აფრიკული და არაბული ქვეყნებიდან ჩასული 1000-მდე მამაკაცი (თუ დაიჭირეს — ბასტა!). პოლიციაში 100-მდე დაზარალებული ქალის განცხადება დევს, რომლებსაც სანტა კლაუსმა ასეთი უწმაწური საჩუქარი ჩამოურიგა.

მადლობა ღმერთს, ჩვენს ქალებს გოზინაყის კეთებისას ცხვირში რგოლგაყრილი სექსუალური მანიაკები არ დასხმიან თავს. ჩვენთან უფრო საკონცერტო ექსპანსია ჭარბობდა.

შობა საღამოს „ნიჭიერის“ ნახევარფინალს ვუყურე.

თვალში მომხვდა ჟიურიში ნიკა გვარამიას არყოფნა.

არ ვიცი რატომ მოგვანატრა თავი.

უმისოდ „ნიჭიერის“ ჟიურიში დიდი სიცარიელე სუფევდა, ჭოლა ვერ ჭოლობდა და რუსკა ვერ რუსკობდა, ვერც ნანუკა იქცევდა ყურადღებას ბრტყელი გადახურვის მსგავსი ახალი ვარცხნილობით. მოკლედ უგვარამიოდ ჟიური ვერ განსჯიდა მართებულად და უტყუარად, თუმცა კი, ნიკას ადგილზე ერთი დღით მიწვეული წაქინძული მომღერალი სოფო ნიჟარაძე ისე შინაურულად და უკომპლექსოდ იჯდა ჟიურიში, თითქოს მისთვის კი არა, ჩემთვის მოეჭამოთ.

ასობოროტ სააკაშვილზე და მის მიერ მოჭმულ ძუძუზე ვამბობ.

თუმცა, აქ დამისამართებულად არც მომჭმელზე და არც მოჭმულზე არ მაქვს საუბარი. უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა.

ეს პოლიტიკოსი ნიკა გვარამია, ეშმაკების მაშხალა „რუსთავი-2“-ის გენდირექტორი, წამლავს ქვეყანას, თორემ „ნიჭიერის“ ჟიურის თავმჯდომარედ სწორედაც უქნია ღმერთს.

აქედან მორალი: მიეცით ნიჭსა გზა ფართო, ანუ კაცი იმ საქმეში უნდა იღვწოდეს და იხარშებოდეს, რაც მისთვის დაუწერია ღმერთს, თორემ ნიკა გვარამიასი არ იყოს, რამდენი ნუგზარ წიკლაური, გიორგი კანდელაკი, აკუკი მინაშვილი, გივი თარგამაძე, ჩიორა თაქთაქიშვილი, კაკო (ყაჩაღი) ბობოხიძე და სხვა ყბამორღვეული თვითმარქვია პოლიტიკოსი გვიზის პარლამენტში და წამლავს გარემოს, ორგანულსაც და არაორგანულსაც, ვინ მოთვლის!

სანდრო ალექსიძე

◎ წერილი რედაქციას

შეაყარე კედელს ცერცვი!

„საქართველოს რესპუბლიკის“ სანდოობას და პოპულარობას, ჩემი აზრით, ისიც განაპირობებს, რომ ამდენი მიკერძოებული და „ყვითელი“ პრესის ფონზე თქვენი გაზეთი არანაირი ფორმით არ ზღუდავს მკვეთრად განსხვავებული აზრის გამოქვეყნებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მაქვს სურვილი, გაცნობოთ, რომ როგორც ერთი რიგითი ამომრჩეველი, ვერ დავეთანხმები საქართველოს პრეზიდენტს, და უმრავლესი ეგრეთ წოდებული პოლიტიკური პარტიისა თუ გაუგებარი ფუნქციის არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერის მცდელობას იმის თაობაზე, რომ 2016 წლიდან, ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს მხოლოდ პროპორციული სისტემით. ისინი დაშვებული და დაუშვებელი ფორმებით ცდილობენ, მმართველ კოალიციას უარი ათქმევინონ თავიანთ განზრახვაზე, რომ არჩევნების ახალ სისტემაზე ქვეყანა გადავიდეს არაუადრეს 2020 წლიდან.

ვფიქრობთ, რომ მანამდე კიდევ ბევრი რამ შეიცვლება, გაირკვევა, დაინვეწება და ბოლოს და ბოლოს, შესაძლოა, ქვეყანამ საერთოდ თქვას უარი ეგრეთ წოდებულ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე და საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება არა პოლიტიკური პარტიებისთვის, არამედ ხალხისთვის.

ამ მიმართებით, რამდენიმე პირადი მაგალითის გათვალისწინებით, კარგა ხანია, დამუშავებული მაქვს სათანადო კონკრეტული წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთაც არც თუ იშვიათად ვაქვეყნებდი პრესაში, საქმის კურსში ვაყენებდი საქართველოს პარლამენტს. სულ ახლახანს კი მათ თავი მოვუყარე ჩემს ახალ წიგნში „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!“, მაგრამ, სამწუხაროდ, რომ იტყვიან „შეაყარე კედელს ცერცვი“...

ანზორ ბაბუხადია,
რიგითი ამომრჩეველი

◎ ამერ-იმერი

პოლიტპატიმრები ელისაშვილს ნაციონალებთან ერთად იბარებენ

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელ დეპუტატ ალეკო ელისაშვილს მიმართავენ და საკომიტეტო განხილვაში მონაწილეობას სთავაზობენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით პარლამენტის დადგენილებით პოლიტპატიმრებად ცნობილი პირები ავრცელებენ.

„საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა და შემდგომში მიღებული ამნისტიის საფუძველზე გათავისუფლების შემდეგ, თითქმის 3 წელია, პერიოდულად აქტიურდება ჩვენთვის პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მონიჭების თემასთან დაკავშირებული დისკუსია. ამ თემის გარშემო ეჭვების დათესვა და მისი აქტუალიზაცია დაკავშირებული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ სასიცოცხლო ინტერესებთან, რადგან ამდენი პოლიტიკური პატიმრის არსებობის დადასტურება მთლიანად ასამარებდა „დემოკრატიის შუქურის“ არსებობის იმ ილუზიას, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა სხვადასხვა მაქინაციით მოიპოვა მსოფლიო საზოგადოების გარკვეულ წრეებში. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ამ ხნის მანძილზე სრულიად არაადეკვატურად იქცეოდა პოლიტპატიმრებთან მიმართებაში, რადგან ჩვენი არაერთგზის მიმართვის მიუხედავად, ვერ მივაღწიეთ ისეთ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც შექმნიდა პირობებს ჩვენი სრული რეაბილიტაციისთვის. ამის ნაცვლად ხელისუფლებამ აირჩია „ნაცმოძრაობასთან“ კოჰაბიტაციის გზა, რამაც ის შედეგი მოიტანა, რომ დამნაშავე რეჟიმის ინიციატივით ჩვენს მიმართ დისკრედიტაციისა და ტალახის სროლის ახალი კამპანია გაიშალა. აღნიშნულის გამო, მიუხედავად პოლიტპატიმრის სტატუსისა, ჩვენ დღესაც ვითვლებით მსჯავრდებულებად. დამნაშავე რეჟიმი კი ყველანაირად უწყობს ხელს საზოგადოებაში ნეიტრალური იმიჯის მქონე პირების მხრიდან ჩვენს საწინააღმდეგო კამპანიაში ჩართვას. უაპელაციოდ ისმის ბრალდებები, რომ ჩვენთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მომნიჭებელი პირები თურმე ანგარებით მოქმედებდნენ, თორემ ჩვენს საქმეებში არ იყო პოლიტიკური მოტივები, ანუ ჩვენ ვიყიდეთ ეს სტატუსები. მათ შორის ბატონმა ალეკო ელისაშვილმა არაერთხელ გამოთქვა ასეთი ბრალდებები, თუმცა, მოგვიანებით დააზუსტა, რომ ჩვენს შორის არა ყველას, არამედ მხოლოდ ზოგიერთს გულისხმობდა“, — ნათქვამია განცხადებაში.

განცხადების ავტორების ინფორმაციით, 15 იანვარს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში გაიმართება საკომიტეტო მოსმენა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და ალეკო ელისაშვილს სთხოვენ, აღნიშნულ მოსმენაზე მივიდეს. ალეკო ელისაშვილს, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წევრებთან ერთად, ახლად აგორებული კამპანიის ინიციატორს, ვთხოვთ, მობრძანდეს აღნიშნულ საკომიტეტო მოსმენაზე და ჩვენთან ერთად განიხილოს მისი ბრალდებების საფუძვლიანობა, იქვე დაასახელოს კონკრეტული ბრალდებულები — ისიც, ვისაც ასეთი ანგარება ამოძრავებდა და ისიც, ვინც თურმე „შეიძინა“ ეს სტატუსი. რაც მთავარია, დაასახელოს კონკრეტული ფაქტები და არა ჭორები, ეჭვები და ვარაუდები, რათა არ შეურაცხყოს წესიერი ადამიანები. მით უმეტეს, რომ მისივე განცხადებით, იგი არ ენდობა პროკურატურას და სურს პარლამენტის მიერ ამ საკითხის შესწავლა“, — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ ლევან ჩაჩუა, თორნიკე მოლაშვილი, ზაალ ჟვანია, რამაზ ღვალაძე, ზაზა გვიმრაძე, რატი მაისურაძე, ჯემალ გუნდიშვილი, ოლეგ კეშელავა, შოთა იამანიძე, ნანა თხელიძე და სხვები.

ელისაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივ დევნას ითხოვს

ე.წ. კოკაინის საქმეზე მსჯავრდებული ანასტასია ზაუტაშვილი თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის ალეკო ელისაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებას მოითხოვს.

შესაბამისი საჩივარი ზაუტაშვილის ადვოკატმა მირიან ნიკოლაძემ მთავარ პროკურატურაში უწყების ხელმძღვანელის ირაკლი შოთაძის სახელზე შეიტანა.

როგორც ადვოკატი აცხადებს, შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე პასუხისგებაში უნდა მიეცეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გამო.

მისი თქმით, ელისაშვილმა უნდა დაასახელოს პირები ვისგანაც, თითქოსდა, აქვს ინფორმაცია ამნისტიის საქმეში კორუფციული გარიგებების შესახებ.

ადვოკატი პროკურატურას ერთკვირიან ვადას აძლევს სარჩელის განსახილველად რის შემდეგაც, მისი თქმით, ანასტასია ზაუტაშვილი შიმშილობას დაიწყებს.

„ელისაშვილის უგუნურმა ქმედებამ დაგაზარალა მათი ინტერესები. მათ მოუსპო სამუდამოდ შეწყალების პერსპექტივა, ვიდრე ისინი არ ამოწურავენ სასჯელს. მათ მოუსპო იმის პერსპექტივა, რომ მოგეხსენებათ რეზონანსულ საქმეებზე ძალიან ჭირს შედეგების დაყენება. ყველა ფრთხილობს და არ უნდათ ზედმეტი ინიციატივების გამოხატვა. რაც მთავარია, მან ამ განცხადებით თანამონაწილედ სცნო აღნიშნული პირები, ვინაიდან დანაშაული ერთია, ვიღაცას თანხა უნდა გადაეხადა და თუ იხდიდა, იმავდროულად დამნაშავე იყო“, — განაცხადა ნიკოლაძემ.

თქვენ ცრუობთ, ბატონო პრეზიდენტო!

საქართველოს პრეზიდენტმა საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს ხელი მოაწერა და, ამავდროულად, პოლიტიკურ ძალებს მოუწოდა კონსულტაციები დაიწყონ საარჩევნო რეფორმებთან დაკავშირებით.

პრეზიდენტი აცხადებს, რომ „ეს კანონი აასრულებს იმ მოთხოვნებს, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ იქნა წარმოდგენილი“, თუმცა მიაჩნია, რომ საუკეთესოა პროპორციულ სისტემაზე გადასვლა და რატომ არ დავადგინოთ ეს „საუკეთესო“ დღეს, ვიდრე ვითმინოთ 4 წელი?“

საოცარია, კაცმა ხელი უკვე მოაწერა და ახლა იძახის, რატომ ვითმინოთ 4 წელიწადიო!!! თუმცა, ეს არ არის მნიშვნელოვანი.

სიცხადისთვის ვიტყვით, რომ საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილება მაჟორიტარული ოლქების ხელოვნურად გამსხვილებას (რაც იდიოტიზმამდე დადის) ეხება, რომლის მიზანი ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით რაც შეიძლება მეტი მაჟორიტარის „დათრევას“ ითვალისწინებს. გაუზვიადებლად შეიძლება იმის თქმა, რომ აღნიშნული ცვლილებით ხელისუფლებამ თითქმის 75-ე მაჟორიტარული მანდატი ჯიბეში ჩაიდო, რადგან ამ „ისტორიული“ (საზოგადოების საბოლოოდ იგნორირების) ინიციატივის ფონზე ოპონენტები კონკურენციას უბრალოდ ვერ გაუწევენ.

თუ რეალურად განვსჯით, ნებისმიერი არჩევნები თავისი არსით და შედეგებით ფარსია (მითუმეტეს, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა) და იგი ძირითადად მოქმედი ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება, მაგრამ ამ აბსურდულობას კიდევ უფრო აღრმავებს ის ცვლილებები, რომელსაც ბატონმა პრეზიდენტმა ხელი უკვე მოაწერა – როგორ შეიძლება, მაგალითად, ჩხოროწყუს, მარტვილს და ნახევარ წალენჯიხას ერთი საერთო წარმომადგენელი ჰყავდეს საკანონმდებლო ორგანოში ან რა კრიტერიუმებით უნდა მისცენ ხმა ჩხოროწყუს მკვიდრს მარტვილელებმა და წალენჯიხელებმა?

უფრო კომიკური სიტუაცია იკვეთება მაღალმთიან რეგიონებში, სადაც იმდენადაა დაშორებული მომავალი მაჟორიტარის სამოქმედო არეალი, რომ მას თავის ამომრჩეველთან ინტენსიური კონტაქტიც კი გაუჭირდება!

რა გველოდება 4 წლის შემდეგ, როცა არჩევნების „საუკეთესო“, ანუ პროპორციული მოდელი დამკვიდრდება საქართველოში?

თავისი არსით, პროპორციული არჩევნები საარჩევნო რინგზე პოლიტიკური პარტიების „შერკინებას“ ნიშნავს, როცა ხმას აძლევ („ირჩევ“) არა კონკრეტულ პიროვნებას, არამედ პარტიას.

საქართველოში არსებული საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიების შემადგენლობის გათვალისწინებით, ძნელია „საუკეთესოთა შორის საუკეთესო“ ამოარჩიო – თუ ე.წ. პარტიის ლიდერებს არ მივიღებთ მხედველობაში, ამომრჩეველი არც იცნობს სიითი შემადგენლობის ათეულსაც კი, რომელსაც კენჭი უნდა უყაროს და სახელისუფლებო საჭე ჩააბაროს! მას (ამომრჩეველს) ამ ადამიანების არც პიროვნულ ღირსებებზე არა აქვს წარმოდგენა და არც მისი კანონშემოქმედებითი საქმიანობის პრაქტიკაზე. ასე „არჩეული“ დეპუტატები კი ან თავიანთი „ორიგინალური“ გამოსვლებით გვახსენებენ თავს, ან საერთოდ, ჩრდილში იმალებიან, რაიმე სისულელე არ დავაბრეხვოთო!

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არჩევნებს გამოკვეთილად ფორმალური ხასიათი ენიჭება, პროპორციულ სისტემაზე გადასვლა კიდევ უფრო აკნინებს და უკიდურესობამდე ფორმალურს ხდის არჩევნების პრაქტიკას – საქმე ისაა, რომ არ არსებობს პოლიტიკური პარტიები, რომლებიც თავიანთ შემადგენლობას პროფესიონალებით (კანონშემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული ადამიანებით) აკომპლექტებდეს. არ არსებობს იმდენად, რამდენადაც ამაზე ძვეყანაში მოთხოვნილება არ არის და ვისაც მოესურვება, თავისუფლად ირგებს პარლამენტარის მანტიას.

რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ამომრჩეველმა არ იცის ამოსარჩევის პიროვნული თვისებები – როგორია მისი ცხოვრების წესი, რა სულიერების მატარებელია იგი, რამდენად სცემს პატივს ეროვნულ ფასეულობებს და ა.შ.

2020 წლიდან ამ თვალსაზრისით არჩევნები საერთოდ აზრს დაკარგავს, რადგან ჩვენ შეხება გვექნება არა პიროვნებასთან (მაჟორიტარული სისტემა საერთოდ უქმდება), არამედ ამორფულ პარტიებთან, რომლებიც, გვინდა-არ გვინდა, თავიანთ დაკრულზე გვაცეკვებენ!

თუ მაჟორიტარებთან მიმართებაში ტერიტორიულ ერთეულებს მეტ-ნაკლები შეხება ჰქონდათ თავიანთ „რჩეულთან“, ახალ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის შემთხვევაში (2020 წლიდან) ეს შანსიც ისპობა.

აქედან გამომდინარე, პროპორციულ სისტემაზე გადასვლა „საუკეთესო“ გამოსავალი კი არ არის ბატონო პრეზიდენტო, არამედ იმ პატარა შანსის დაკარგვაა, რასაც მაჟორიტარებთან ამომრჩევლის ურთიერთობა იძლეოდა!

დღეს, 2016 წლის არჩევნები თავისი „ორიგინალობით“ და სხვა ფაქტორებით გაგვაოცებს, 2020 წლიდან კი ასარჩევიც არავინ გვეყოლება – პოლიტიკური პარტიები თვითონ დაინიშნავენ თავს პარლამენტში. თუ როგორ, ამას „საარჩევნო“ მანძანა“ კარგად მოიფიქრებს.

ჩვენ კი ისევ გაბითურებულები დავრჩებით!!!

საბა საბახტარაშვილი

მიზანი – ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა

ქვეყნის გაზმომარაგების თემა კვლავ აქტუალურია

ახალი წლის დადგომასთან ერთად კვლავ აქტუალური ხდება ქვეყნის გაზმომარაგების დივერსიფიცირების თემა. შარშან საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობა მოჰყვა „გაზპრომთან“ დაწყებულ მოლაპარაკებებს. იყო საუბარი იმაზე, რომ მთავრობა მომწოდებელთა მრავალფეროვნების მიღწევას ცდილობს. ითქვა ირანული გაზის იმპორტის პერსპექტივაზეც.

წელი სწორედ ირანულ გაზზე განცხადებებით დაიწყო: ირანული გაზის შემოტანის შემთხვევაში, საქართველოს ფინანსური ვალდებულებები „გაზპრომთან“ ექნება, – ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილმა ჟურნალისტებს ბათუმში განუცხადა. მისი განმარტებით, **„ირანიდან რომ შემოვიდეს გაზი, უნდა გაიაროს სომხეთის ტერიტორია და 700-მილიმეტრიანი მილსადენი. ამ მილსადენს ფლობს „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია და, შესაბამისად, ინფრასტრუქტურაც მათია. თუ ირანიდან მივიღებთ გაზს, ტრანზიტის გადახდა მოგვიწევს „გაზპრომისთვის“. საქართველოს საშუალება აქვს, ბუნებრივი აირი მიიღოს აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და ირანიდან. ჩვენ სამივე ქვეყანასთან უნდა გვქონდეს გახსნილი მოლაპარაკებები და უნდა გამოვიდეთ ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან. რაც იქნება მიზანშეწონილი, გონივრული ჩვენი ეკონომიკისთვის, რაც არ დააზიანებს ურთიერთობებს ჩვენს გრძელვადიან პარტნიორებთან, ამ სამეულიდან უნდა მოხდეს გადაწყვეტილება. არ უნდა გავხდეთ დამოკიდებული რომელიმე ერთ წყაროზე. ენერგოდამოკიდებულება, არა აქვს მნიშვნელობა რომელი ქვეყანა იქნება, არ არის მიზანშეწონილი. რაც უფრო დივერსიფიცირებულია, მით უკეთესი. სამინისტრო გაძლევთ პირობას, ჩვენ ისეთს არაფერს გავაკეთებთ, რაც საფრთხეს შეუქმნის ჩვენს ეკონომიკას და პოლიტიკურ მდგომარეობას“,** – აღნიშნა ილია ელოშვილმა.

შეგახსენებთ, რომ დღეისთვის დამატებითი გაზის შეძენის მოთხოვნა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის, გარდაბნის თბოელექტროსადგურმა და მოსახლეობაში გაზრდილმა მოთხოვნამ.

ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას აპირებს ხელისუფლება სწორედ ე. წ. კომერციული გაზით, რომელსაც, დიდი ალბათობით, „გაზპრომისგან“ შეიძენს.

პარალელურად, აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია „სოკარი“ აცხადებს, რომ საქართველოში გაზზე მზარდ მოთხოვნას ითვალისწინებს და მზად არის სრულად უზრუნველყოს ეს მოთხოვნა. ამის შესახებ „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ხელმძღვანელმა მაჰირ მამედოვმა აზერბაიჯანულ სააგენტო „ტრენდთან“ საუბარში განაცხადა. მისივე თქმით, საქართველოსთვის ირანული გაზის შესაძლო მიწოდება „სოკარის“ მიერ აღებულ ვალდებულებაზე არ აისახება.

„სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ შეფასებით, საქართველოში გაზის დამატებითი მოცულობის ექსპორტის განსაკუთრებული საჭიროება არ არსებობს. ქართული ბაზარი წელიწადში მხოლოდ 8-10 %-ით იზრდება და „სოკარი“ ამ ზრდას ითვალისწინებს. თუ კომერციულ ბაზარზე გაზის ნაკლებობა შეიქმნება, აზერბაიჯანს ამ მოცულობის მიწოდება შეუძლია.

იმის მიუხედავად, რომ ამჟამად ხელისუფლება ამ შემოთავაზებას არ იღებს, ექსპერტები ამბობენ, რომ როგორც არ უნდა გაზარდოს „გაზპრომმა“ კომერციული გაზის მიწოდების მოცულობა, მაინც ვერ შეძლებს „სოკარისთვის“ დომინანტი პოზიციების ჩამორთმევას. საუბარია იმ გაზზე, რომელიც საქართველოს ტრანზიტის საფასურად ეკუთვნის. 2018 წელს, როცა 6 მილიარდი კუბური მეტრი გაზი გაივლის საქართველოს ტერიტორიაზე, ქვეყანას ექნება სატრანზიტო გაზის მნიშვნელოვანი მარაგი – ტრანზიტის 5 % არის 300 მილიონი კუბური მეტრი, რაც უკვე საკმარისია იმ გაზრდილი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, რომელიც ჩნდება ქვეყანაში თბოელექტროსადგურების გამო. 2019 წელს კი, როცა უკვე დამატებით 10 მილიარდი გაივლის, 23 მილიარდი კუბური მეტრი გაზი დარჩება საქართველოსთვის. აქედან ნაჩუქარი მხოლოდ ტრანზიტისთვის 5 % იქნება (იმ გაზის ნახევარი, რომელსაც დღეს საქართველო მოიხმარს).

ნინო ევგენიძე,
რადიო „თავისუფლება“

◎ მინისტრის შეფასება

„ექსპერტების“ მიერ შექმნილი ტრაგედია სრული მარაზმია!

ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე აცხადებს, რომ „გაზპრომთან“ მოლაპარაკებაში ახალი მხოლოდ ის არის, რომ 10 %-იანი მოცულობის მაგივრად ფულადი ანაზღაურება მოხდეს. მისი შეფასებით, „გაზპრომთან“ დაკავშირებით ე.წ. ექსპერტების მიერ შექმნილი ტრაგედია „არის მარაზმი და არასწორი“.

კალაძე აცხადებს, რომ „გაზპრომთან“ ხელშეკრულების გადახედვა ყოველწლიურად ხდება და ყველა დაინტერესებულ პირს მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას.

„ამ შემთხვევაში მოთხოვნა არის ის, რომ შეიცვალოს ხელშეკრულების პირობები – გადავიდეთ ფულად ანაზღაურებაზე, ანუ ჩვენს მიერ გატარებული 10-პროცენტიანი მოცულობის მაგივრად გადაგვისადონ თანხები. ეს მოლაპარაკებები დიდი ხანია, დაწყებული გვაქვს. რამდენიმე შეხვედრა გაიმართა, თუმცა შეთანხმება მიღწეული არ არის. ბოლო ორი თვის განმავლობაში ჩვენ ვისმენთ გაუგებარ განცხადებებს ე.წ. ექსპერტების მხრიდან. თუ ვინმეს მართლა აქვს სერიოზული სურვილი გაიგოს დეტალები, ენერგეტიკის სამინისტრო, პირადად, მზად ვარ ამ ადამიანებს შევხვდე – მოვიდნენ და მივაწვდით ყველა ინფორმაციას“, – განაცხადა კალაძემ.

მისივე თქმით, ამჟერადაც საუბარია ერთწლიან ხელშეკრულებაზე და როდესაც გარკვეული შეთანხმება შედგება, ყველასთვის გახდება ცნობილი.

ჯი-ეიბ-ენი



დაყოვნება არ ეგების!

ზოგიერთი მოსაზრება ქ. თბილისში სატრანსპორტო მოძრაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით

უკანასკნელ წლებში ჩვენს დედაქალაქში მართლაც ურთულესი სიტუაცია შეიქმნა ტრანსპორტის მოძრაობის თვალსაზრისით, საავტომობილო პარკის ყოველწლიური მნიშვნელოვანი ზრდისა და მიმდებარე რაიონებიდან თუ სოფლებიდან ქალაქში სამუშაოს მაძიებელთა (იგულისხმება კერძო სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც ტაქსის სახით გადაადგილდებიან) რაოდენობის ზრდის პირობებში, ქ.თბილისის ძირითადი გზები და ქუჩები ერთობ გადატვირთულია, სატრანსპორტო კვანძები ვერ უზრუნველყოფენ მათ დროულ გატარებას, იქმნება საცობები, რომელთა განტვირთვას სულ მცირე 2-3 საათი სჭირდება, პიკის საათის ცნება უკვე აღარ არსებობს, საცობები იქმნება დღის ნებისმიერ დროს, რაც იწვევს მოსახლეობის სამართლიან გულისწყრომას. ყოველივე ამას ემატება ის ფაქტი, რომ ქალაქში გამართულად არ მუშაობის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, მათი დიდი ნაწილი ამორტიზებულია, საერთო რაოდენობა კი არასაკმარისია. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში მეტროპოლიტენის არც ერთი ახალი სადგური არ გახსნილა, ქალაქში არ მუშაობს ელექტროტრანსპორტი (ტრამვაი, ტროლეიბუსი)... შექმნილ სიტუაციას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ ქ. თბილისის რელიეფური პირობები და თავისებურებანი საჭიროებს ორიგინალური გადაწყვეტილებების მიღებასა და დანერგვას.

შექმნილი რთული სიტუაციიდან გამომდინარე საგზაო ინსტიტუტის შპს „საქგზამეცნიერებას“ საჭიროდ მიაჩნია გაგიზიაროთ ზოგიერთი მოსაზრება, რაც მნიშვნელოვნად წაადგება შექმნილი პრობლემების გადაწყვეტის თუ არა შემსუბუქების საქმეს!...

უპირველეს ყოვლისა, უნდა დამუშავდეს ქ. თბილისში სატრანსპორტო მოძრაობის ორგანიზაციის გენერალური გეგმა. რადგანაც ცალკეული ლოკალური პრობლემების მოხსნა არ მოგვცემს სასურველ შედეგს, საჭიროა ჯეროვნად შევისწავლოთ სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის რეჟიმები, ავღრიცხოთ რთული უბნები, გავაანალიზოთ საცობების წარმოქმნის მიზეზები და გულდასმით დავამუშაოთ ღონისძიებები სატრანსპორტო კვანძების განტვირთვისა და მათი გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, ამასთან, აღნიშნული სამუშაოები უნდა განვახორციელოთ ერთიანი კონცეფციის ფარგლებში, რათა ერთი-ორი კვანძის განტვირთვამ არ გამოიწვიოს ახალი საკონფლიქტო წერტილების წარმოქმნა და ამჯერად სხვა კვანძების გადატვირთვა.

ქალაქში ტრანსპორტის ყველა სახეობის მუშაობა უნდა იყოს ურთიერთშეხამებული, რათა მთლიანობაში უზრუნველვყოთ სატრანსპორტო ქსელის ნორმალური ფუნქციონირება.

გვსურს მკითხველის ყურადღება გავამახვილოთ როგორც გლობალურ ამოცანებზე, ისე რიგ ლოკალურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ხელს შეუწყობდა შექმნილი მდგომარეობის სტაბილიზაციას შედარებით მოკლე პერიოდში.

შექმნილი პრობლემის კაპიტალურ გადაწყვეტას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქ. თბილისში მარცხენა და მარჯვენა სანაპიროებზე ცალმხრივი მოძრაობის დაწესება. ეს საკითხი მრავალჯერ დავაყენეთ სხვადასხვა ფორუმზე, მაგრამ ჯერჯერობით წინ ვერ დავიძარით... რასაკვირველია, ეს არ არის ერთჯერადი აქტი და იგი დაკავშირებულია დიდი მოცულობის სამუშაოების განხორციელებასთან, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ დანახარჯებს მოითხოვს...

მტკვარზე მოსაწყობი იქნება სულ მცირე 10-12 სახიდე გადასვლელი და, შესაბამისად, 20-24 სატრანსპორტო კვანძი თითოეული სახიდე გადასასვლელის თავსა და ბოლოში, რომლის განხორციელებაც არსებითად გადაწყვეტდა ქალაქში სატრანსპორტო მოძრაობის თანამედროვე დონეზე მოწესრიგების საკითხს.

მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს დღეს არსებული გადატვირთული სატრანსპორტო კვანძების სრულყოფილად გახსნისა და საკონფლიქტო წერტილების აღმოფხვრის საკითხებს, უნდა გაიზარდოს მათი გამტარუნარიანობა ორ-სამ დონეზე გადაწყვეტის გზით. ქ. თბილისის რელიეფური პირობები იძლევა იმის საშუალებას, რომ რთულ უბნებზე მოვაწყოთ მცირე ზომის გვირაბები და მიწისქვეშა გადასასვლელები ღია წესით, მოვაწყოთ ესტაკადები, მკვეთრად უნდა გავზარდოთ საბაგირო ტრანსპორტის წილი და სხვა.

შპს „საქგზამეცნიერებას“ ქალაქის მასშტაბით რამდენიმე მნიშვნელოვანი ობიექტის პროექტი აქვს დამუშავებული მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და ქალაქის გარკვეული უბნების ინტენსიური მოძრაობისგან განტვირთვის მიზნით.

შარშან დავამუშავეთ საპროექტო დოკუმენტაცია პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღსადგენად, არსებული გზის გასაგანიერებლად და ახალი ესტაკადის მოსაწყობად. დღეისათვის მშენებლობა უკვე დაწყებულია.

უკვე დასრულებულია და დამკვეთს გადავეცით კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოების პროექტი, სადაც გაზსადენის გადატანის სამუშაოები უკვე დაწყებულია და უშუალოდ გზის მშენებლობაც მალე დაიწყება.

დავამუშავეთ აგრეთვე კარტოზიასა და ცინცაძის ქუჩების გადაკვეთაზე ორ დონეზე სატრანსპორტო კვანძის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია, მიგვაჩნია, რომ დამატებით უნდა დამუშავდეს პროექტი აღნიშნული ქუჩების გადაკვეთაზე გვირაბის მახლობლად.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

26 მაისის მოედანზე მოძრაობის ორგანიზება ორ დონეზე წარიმართოს;

ტაბიძის ხიდის მარცხენა მხარეს მოეწყოს პანდუსი;

თამარაშვილისა და უნივერსიტეტის ქუჩების გადაკვეთაზე მოეწყოს ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი ესტაკადები და აქ სატრანსპორტო კვანძები სრულყოფილად გაიხსნას.

ჭაბუკიანის (ყოფილი საბურთალოს) და პეკინის ქუჩების გადაკვეთაზე მოხერხდეს სატრანსპორტო კვანძის რეკონსტრუქცია მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით;

პეკინისა და მიცკევიჩის ქუჩების გადაკვეთაზე სატრანსპორტო კვანძის რეკონსტრუქცია, მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით;

ალ. ყაზბეგის გამზირისა და პეკინის ქუჩის გადაკვეთაზე სატრანსპორტო კვანძის რეკონსტრუქცია, მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით.

უნდა მოვაწყოთ მარშალ გელოვანის გამზირიდან (ვეფხი და მოყმის ძეგლი) მუხრან მაჭავარიანის ქუჩამდე დამაკავშირებელი გზა.

აუცილებელია ვეფხისა და მოყმის ძეგლთან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე სატრანსპორტო კვანძის რეკონსტრუქცია მოძრაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით (გვირაბისა და ესტაკადების მოწყობით);

გლდანში თენგიზ შეშელიძისა და რამაზ შენგელიას ქუჩების გადაკვეთაზე უნდა მოეწყოს სატრანსპორტო კვანძი ორ დონეზე მისი გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით;

ვერეს ხეობის ავტომაგისტრალის გმირთა მოედანთან მიერთების ადგილზე უნდა მოწესრიგდეს სატრანსპორტო კვანძი.

კარგ შედეგს მოგვცემს სანაპიროზე თამარ მეფის (ყოფილი ჩელუსკინელების) ხიდის გაგრძელებაზე ახალი თაღის მოწყობა და სანაპიროს გაგანიერება ორმხრივი მოძრაობის გასაუმჯობესებლად;

უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიიდან მდინარე ვერეს გადაკვეთით უნდა მოეწყოს საავტომობილო გზა წყნეთში მიმავალი საავტომობილო ტრასის მიერთებამდე. მიერთების ადგილზე უნდა მოწესრიგდეს სატრანსპორტო კვანძი.

დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ საკითხი, რომელსაც შევეხეთ, იმდენად საჭიროა და მტკივნეულია ქალაქისთვის, რომ ყოველი დაყოვნება და გადავადება უფრო რთულ მდგომარეობამდე მიგვიყვანს. ამდენად, ეს პრობლემა და საკითხთა საკითხი ქალაქის ხელმძღვანელობის ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

თამაზ შილაკაძე,
საგზაო ინსტიტუტის შპს „საქგზამეცნიერების“ გენერალური დირექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი

◎ ღმერთმა ქნას, თბილისი განიტვირთოს!

საცობებიდან განთავისუფლება საბურთალოდან იწყება

თბილისის მერიაში საბურთალოს რაიონის საცობებისგან განტვირთვის მიზნით შემუშავებული კვლევის პრეზენტაცია გაიმართა. 26 მაისის, ჟვანიასა და საკაძის მოედნებზე, პეკინის, კანდელაკისა და შარტავას ქუჩებზე, შარტავას ქუჩიდან 26 მაისის მოედნამდე კოსტავას ქუჩის მონაკვეთზე და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე მოძრაობის განტვირთვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ დასკვნა საერთაშორისო კომპანია „A+S Consult GmbH Forschung und Entwicklung“-მა მოამზადა.

„ჩვენ შევუკვეთეთ კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს ისეთი მძიმე სატრანსპორტო კვანძის საცობებისგან განტვირთვას, როგორიცაა სააკაძის, 26 მაისის მოედანი, პეკინის ქუჩა და მიმდებარე ტერიტორიები. შესაბამისად, შერჩეულმა გერმანულმა კომპანიამ წარმოადგინა დასკვნა, რომელიც სატრანსპორტო ნაკადების დათვლის და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების გათვალისწინებით მომზადდა. საერთაშორისო კომპანია „A+S Consult GmbH Forschung und Entwicklung“-ის დასკვნა აღნიშნულ ტერიტორიებზე სატრანსპორტო საშუალებების გამტარუნარიანობის გაუმჯობესების რამდენიმე ვარიანტს ითვალისწინებს, მათ შორისაა საგზაო მოძრაობის რეგულირება, ჭკვიანი შუქნიშნების დაყენება, კუნძულების შექმნა და ა.შ. შემოთავაზებული ვარიანტებიდან, ვფიქრობთ, ერთი ყველაზე ოპტიმალურია და არჩევანს მასზე შევაჩერებთ. შესაბამისად, მანამ, სანამ ჩვენ რაიმე ინფრასტრუქტურულ გადაწყვეტილებას მივიღებთ, სწორედ, ამ მოდელს გავითვალისწინებთ. ასევე, მინდა გითხრათ, რომ მხოლოდ ინფრასტრუქტურული განვითარება ქალაქში არსებული პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისი არ იქნება, ძალიან მნიშვნელოვანია განვითარდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტიც“, — განაცხადა ვიცე-მერმა ლაშა აბაშიძემ.

საერთაშორისო კომპანია „A+S Consult GmbH Forschung und Entwicklung“-ის მიერ მომზადებულ დასკვნაში განხილულია საბურთალოს რაიონში მდებარე პრობლემურ მონაკვეთებზე განსახორციელებელი სამუშაოების რამდენიმე ვარიანტი და სამუშაოების შესრულების შედეგები. საუკეთესო ვარიანტის შესაბამისად საჭირო ღონისძიებების განხორციელების შემდგომ, აღნიშნულ მონაკვეთებზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება გადაადგილება და განიტვირთება საგზაო მოძრაობა, ამასთან, გაიზრდება სატრანსპორტო საშუალებების გამტარუნარიანობა.

თბილისის მერიაში გამართულ პრეზენტაციას დედაქალაქის მერი დავით ნარმანია, ვიცე-მერი ლაშა აბაშიძე, მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძე, ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი გურგენიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, საკრებულოს წევრი შალვა ოგბაიძე, დეპუტატები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ნუ დავამახინჯებთ ქათქათა ბათუმს...

პატივცემულო რედაქცია, გიგზავნით ღია წერილს ბათუმის ბულვარის შესახებ. 8000 ხელმოწერიდან მხოლოდ 22 ხელმოწერა დავარეგისტრირეთ და დანარჩენი ინახება ჩვენთან. ძალიან გთხოვთ წერილი გაუშვათ თქვენი კომენტარებით.

პატივისცემით ნოდარ ჩხეიძე

ღია წერილი

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

საქართველოს კულტურის მინისტრს ბატონ მიხეილ გიორგაძეს

ბატონებო, მოგეხსენებათ თუ რა სულიერ და ფიზიკურ სიმდიდრეს წარმოადგენს ბათუმელებისათვის (არა მარტო) ზღვისპირა ბულვარი. იგი დაარსდა 1881 წელს, როგორც ფრანგული ტიპის ბულვარი, დააგეგმარეს გერმანელმა და ფრანგმა რესლერმა და დ' ალფონსმა, უფრო გვიან ბულვარის განაშენიანებაში მონაწილეობდნენ ევროპაში განათლებამიღებული სპეციალისტები აკაკი ხოშტარია, ილია ლიონიძე, იასონ გორდეზიანი, პავლე ნადარეიშვილი, კახა ჯავახიშვილი. ბულვარი ჩამოყალიბდა როგორც ორგანული სხეული არა მარტო ქალაქისათვის, არამედ ბათუმში მცხოვრებთათვის. ზოგადად, ბულვარი წარმოადგენს ესთეტიკური, ეკოლოგიური, კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფუნქციის მატარებელ რეკრეაციულ ზოლს.

ბულვარის განვითარება დაგეგმარების მხრივ დამთავრდა 1950-იანი წლების ბოლოს და მას დღემდე არ განუცდია გეგმარების შეცვლა, თუ არ ჩავთვლით მუსიკალურ შადრევნებს, რომლებიც 1980-იან წლებში გაკეთდა. იგი ორგანულად შეერწყა ბულვარის კონცეპტუალურ დაგეგმარებას, ამიტომაც ბულვარი უნიკალური ლანდშაფტური დაგეგმარებისა და მისი მრავალფეროვანი გამწვანების გამო 2008 წელს შევიდა საქართველოს ისტორიული ძეგლების ნუსხაში, რასაც ბათუმელები მივესალმეთ – ჩავთვალეთ, რომ ბულვარი გადარჩა.

მაგრამ არა, კი არ გადარჩა, არამედ, როგორც ირკვევა, აჭარის ა/რ მთავრობის წარმომადგენლებს მთლიანად უნდათ გადააგვარონ ბულვარი და შექმნან თავიანთი ძეგლი. ალბათ, რაკი მთავრობაში არიან, სურთ რაიმე გააკეთონ, რომ „უკვდავყონ" თავიანთი სახელები.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ, ისტორიული ძეგლების დაცვის სააგენტოსთან ერთად (?) გადაწყვიტა შეექმნა ბათუმის ბულვარის განვითარების კონცეფცია. ცნობისათვის: ბულვარი ნაცვლად ქალაქისა, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა – რატომ? ხომ არ არის ამაში კორუფციის დაფარული არხები? ამავე დროს ბულვარის მიმდებარე პლაჟი ქალაქ ბათუმის ბალანსზეა – ეს ხომ ნონსენსია!

წინაპირობა ბათუმის ბულვარის განვითარების კონცეფციის შესაქმნელად არ არსებობს, იგი თითიდან გამოწოვილი ამოცანაა. ისე, საინტერესოა, კიდევ ვის ტვინში „მოიხარშა" ბატონ დავით ბალაძის გარდა, ეს „გენიალური" იდეა, დიდი ეჭვი გვაქვს, რომ ეს პიროვნება გახლავთ აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარე ბატონი არჩილ ხაბაძე, რადგანაც მისი აქტივობა გამოჩნდა ამ ბოლო პერიოდში.

განხილვისათვის წარმოდგენილი პროექტი (და არა კონცეფცია) ისტორიული დაგეგმარების ძირეულ რეკონსტრუქციას ითვალისწინებს. ხაზს ვუსვამთ – საპროექტო და არა კონცეფცია, რის შედეგადაც მივიღებთ ინგლისური და ფრანგული პარკების ნაზავს, ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად – არავითარი ინდივიდუალობა. სხვათაშორის კონცეფციისათვის არ ყოფილა მოწვეული არც ერთი პროფესიონალი ეკოლოგი, ჰიდროინჟინერი, არქიტექტორი, მშენებელი, ელექტროგანათების სპეციალისტი და ლანდშაფტის დიზაინერი, კლიმატოლოგი, კურორტოლოგი და ა.შ. 25-30 დარგის სხვადასხვა სპეციალისტი.

გვინდა, დავსვათ შეკითხვა ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ: კანონის რომელი მუხლის თანახმად შეიძლება ძეგლის ძირეული რეკონსტრუქცია – ეს ხომ ძეგლის სტატუსის დაკარგვას ნიშნავს?

გვაკვირებს ძეგლთა დაცვის აჭარის სააგენტოს უფროსის ქალბატონ მირანდა ჩარკვიანის პოზიცია, რატომღაც ყველაზე აქტიური დამცველი ე.წ. კონცეფციის იდეისა, იგი გახლავთ და საზოგადოებას თავის გამოსვლებში უმტკიცებს ბულვარის რეკონსტრუქციის წარმტაცი წახნაგების შესახებ, იმის მაგივრად, რომ დაიცვას ისტორიული ძეგლი. იბადება კითხვა, რატომ და საიდან ასეთი დაინტერესება?! ქალბატონ მირანდა ჩარკვიანის „საქმენი საგმირონი" გამოჩნდა ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე ისტორიული ძეგლის დანგრევისას, რომელიც მისი უნიათობით (ბრალით) მის თვალწინ დაანგრიეს, ახლა ბულვარია დასანგრევი, არა?! კარგი იქნებოდა თუ მის თანამდებობას დაერქმეოდა „ისტორიული ძეგლების ნგრევის სააგენტოს უფროსი".

ბათუმის საზოგადოებამ ამ პრობლემის ირგვლივ ვერ მოისმინა ვერც მინისტრების აზრი, ვერც აჭარის ა/რ მთავრობის თავმჯდომარის განმარტება და ვერც სამართალდამცავი ორგანოს – პროკურატურის განმარტება. რატომ ხდება ასე ხალხის აზრის უგულებელყოფა და ხალხის მიერ შევსებული ბიუჯეტის ფულების კორუფციული ხარჯვა (ოდესმე ხომ უნდა დასრულდეს ეს პროცესი)? ბოდიში, მაგრამ სხვანაირად ვერ აღვიქვით ეს ე.წ. კონცეპტუალური წამოწყება. გვინდა გაუწყოთ, რომ ბულვარში ყოველგვარი კონცეფციის გარეშე უკვე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომლებიც თითქოს გათვალისწინებული იქნება მომავალ კონცეფციაში. მაგალითად, მინისტრ დავით ბალაძის (ეს აღიარა ტელეინტერვიუში 29.12.2015 წ.) და ქალბატონ მირანდა ჩარკვიანის ხელდასხმით გადათხრილია სანაპიროს შუა ხეივანი მისი გაუქმების მიზნით. საინტერესოა, ეს აბსოლუტური დილეტანტები ბულვარის დაგეგმარების საკითხებში, ბატონი დავით ბალაძე და ქალბატონი მირანდა ჩარკვიანი რა სტატუსით მონაწილეობენ ისეთი სპეციფიკური კონცეფციის შექმნაში, როგორიცაა თავისი უნიკალურობით გამორჩეული, მსოფლიო მნიშვნელობის ბათუმის ბულვარის ე.წ. განვითარება.

ვთხოვთ, საქართველოს მთავრობას, შესაბამის მინისტრებს, გააკეთონ განმარტება ათეულობით მილიონი ლარის ფანტვის შესახებ (სხვანაირად ვერ ვხედავთ) და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება ბულვარის რეკონსტრუქციის აკრძალვის შესახებ და გადათხრილი ხეივნის ძველ პარამეტრებში მოყვანისათვის.



P. S. თუ მართლა უნდათ ბულვარის გაკეთილშობილება, მაშინ აღადგინონ კოლონადები ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში. გააუქმონ (დაშალონ) ის რესტორნები და კაფეები, რომლებიც განთავსებულია ბულვარის ტერიტორიაზე, მათ შორის 2 (ორი) დიდი ობიექტი 2013-2014 წლებში აშენებული, გადაადგილდეს შესაბამის ადგილზე უნიკალური არქიტექტურული ფორმით გამორჩეული „ნიჟარა" ცენტრალური შესასვლელიდან. ბულვარი გადასცენ ქალაქს ბალანსზე – ეს იქნება ყველაზე დიდი საქმე, რასაც შეიძლება ბულვარისათვის გაკეთდეს.

წერილის პათოსს იზიარებს უკლებლივ და საყოველთაოდ ქ. ბათუმის მოსახლეობა, რომელმაც თავისი აღშფოთება გამოთქვა ხელმოწერით და მათი რიცხვი 8000-ს აღემატება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ამ წერილის პათოსს შეუერთდება დანარჩენი საქართველოს მოსახლეობა - ბულვარი ხომ ქართველი ხალხის საკუთრებაა.

ტექნოლოგიური პარკი არის პირდაპირი ინვესტიცია საქართველოს მომავალში

„ვფიძრობ, რომ ეს არის მართლაც რევოლუციური პროექტი. ეს არის ნ-მილიონიანი პროექტი, რომელიც ერთ წელიწადში დაიწყო და დამთავრდა. ეს არის პირდაპირი ინვესტიცია საქართველოს მომავალში. ეს არის სივრცე, სადაც სრულდება თანამშრომლობა სამ ძირითად მიმართულებას შორის: აკადემია, ანუ სამეცნიერო მიმართულება, ეს არის ეკონომიკა, ქვეყნის სამეწარმეო წრეები და ეს არის მთავრობა, ანუ შესაბამის სამთავრობო უწყებები. ეს მოდელი, რომლის გახსნაც ჩვენ დღეს ვნახეთ, არის პირველი მოდელი საქართველოში, სადაც ამ ტიპის თანამშრომლობა, ამ სამ მიმართულებას შორის შედგა. არ შემიძლია, დავმალო ჩემი საუკეთესო შთაბეჭდილება, როდესაც ვნახე თუ რამხელა პოტენციალია ჩვენ ახალგაზრდებში ინოვაციური მიმართულებით“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მისივე თქმით, ეკონომიკის სწრაფი ზრდა შეუძლებელია ინოვაციაზე, კვლევასა და განვითარებაზე დაფუძნებული დარგების განვითარების გარეშე.

„ეს სივრცე იქნება სწორედ ის სივრცე, სადაც მოხდება დაფუძნება და პირველი ეტაპის გავლა იმ კომპანიების მხრიდან, რომლებსაც ამ მიმართულებით განსაკუთრებული პოტენციალი გააჩნია.

ამ სივრცეში უკვე ჩვენ გვყავს წამყვანი კომპანიების წარმომადგენლობები და ასევე, საქპატენტის წარმომადგენლობა, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ დასაწყისშივე დაპატენტდეს მნიშვნელოვანი გამოგონებები“, — აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის ინფორმაციით, ტექნოლოგიურ პარკში წარმოდგენილია წამყვანი საერთაშორისო კომპანიების მიერ დამზადებული ის აუცილებელი დანადგარები, რომლებიც საშუალებას იძლევიან, ახალგაზრდა გამომგონებლებმა მოახდინონ საკუთარი გამოგონებების პროტოტიპიზაცია, ანუ საცდელი ეგზემპლარების ამ სივრცეში გამოშვება.

დედაქალაქისთვის სასიცოცხლო პროექტები დაჩქარებით აშენდება

თბილისში მიმდინარე პროექტების დაჩქარებისა და მათი ეფექტურად განხორციელების გზებზე ისაუბრეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და თბილისის მერმა დავით ნარმანიამ სამუშაო შეხვედრაზე.

პრემიერმა თბილისის მერის სამომავლო გეგმები მოისმინა და პროექტების განხორციელების დაჩქარებასა და მათი ეფექტურობის გაზრდაში დედაქალაქის მთავრობის მხარდაჭერის მზადყოფნა გამოთქვა.

შეხვედრაზე რამდენიმე ძირითადი პრიორიტეტი გამოიკვეთა, მათ შორის, დედაქალაქში ჰაერის დაბინძურების შემცირება, ქალაქის საცობებისგან განტვირთვა, მუნიციპალური ტრანსპორტის ავტოპარკის განახლება, მრავალდონიანი პარკინგების მშენებლობა, ახალი საბავშვო ბაღების აშენება და ინფრასტრუქტურული და ტურისტული პროექტების მოკლე ვადებში განხორციელება.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დედაქალაქის მერია აქტიურად იმუშავებს მუნიციპალური ტრანსპორტის ავტოპარკის განახლებაზე, ხოლო არსებული პარკი, საწყის ეტაპზე, იმ რაიონებს მოხმარდება, სადაც მუნიციპალური ტრანსპორტის ნაკლებობაა. უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს ახალი ავტობაზის აშენების პროექტის განხორციელებაც.

ასევე, დაიწყება თბილისის შემოგარენში ტყის რეაბილიტაციის პროგრამა;

პრემიერმა და თბილისის მერმა ასევე ისაუბრეს მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელთა შორისაა აღმაშენებლის გამზირის მეორე ნაწილის რეაბილიტაცია, პუშკინის ქუჩაზე ესტაკადისა და კრწანისი-შინდისის ახალი გზის მშენებლობა, გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია და სხვა.

გიორგი კვირიკაშვილმა დავით ნარმანიას სთხოვა, გამკაცრდეს ყველა მნიშვნელოვანი პროექტის მიმდინარეობის ტემპებისა და ეფექტიანობის კონტროლი, რათა სამუშაოები მაქსიმალურად მოკლე ვადებში დასრულდეს.

სამსახურიდან განთავისუფლებულები საპროტესტო აქციებით იმუქრებიან

თავდაცვის სამინისტროს სამშენებლო საინჟინრო ბაზასთან სამსახურიდან გათავისუფლებული 400-მდე თანამშრომელმა საპროტესტო აქცია გამართა.

აქციის მონაწილეებმა ბაზის ხელმძღვანელობის ის გადაწყვეტილება გააპროტესტეს, რომლის შედეგადაც ისინი უმუშევრები დარჩნენ.

მათი განცხადებით, სამსახურიდან გათავისუფლებულია დასაქმებული 640 ადამიანიდან 400.

აქციის მონაწილეები ამბობენ, რომ კონტრაქტების შეწყვეტის შესახებ მათ არავინ აცნობა და მიზეზი, რის საფუძველზეც გათავისუფლდნენ, მათთვის უცნობია.

ისინი განმარტებებს თავდაცვის სამინისტროსგან ელიან და პერმანენტული საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.

ეღელვარება ვან დეიკის გარშემო

კულტურის სამინისტრომ არქივში ის დოკუმენტი მოიძია, რომლის მიხედვითაც, ზაჰირ ჰუსეინოვს აბაშიძეების ოჯახისგან შეძენილი ტილოს საზღვარგარეთ გატანის ნებართვა მიეცა.

როგორც კულტურის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორმა ბესიკ მაცაბერიძემ განაცხადა, ნებართვის გაცემაზე ექსპერტები და ხელოვნებათმცოდნეების 10-კაციანი კომისია მუშაობდა, რომლებმაც ტილოს საზღვარგარეთ გაცემის ნებართვა გასცეს და დოკუმენტში მიუთითეს, რომ ნახატი ევროპაში, მე-19-20 საუკუნეში შესრულდა და ნახატის ავტორი უცნობია.

„საკითხი განხილულია კომისიის სხდომაზე და ახლავს დასკვნა, სადაც ნახატის შექმნის ადგილად დასახელებულია ევროპა, მხატვარი არის უცნობი, ხოლო ნახატის შექმნის თარიღად მე-19 საუკუნის ბოლო, მე-20-ის დასაწყისია დასახელებული. დასკვნის მიხედვით, ნახატის საზღვარგარეთ გატანა არის დასაშვები. ამის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი ნებართვა, რომელიც 2010 წლის 8 დეკემბერს გაიცა“, — განაცხადა ბესიკ მაცაბერიძემ.

ანტუან ვან დეიკის ნამუშევარი, რომელიც ეკა აბაშიძის განცხადებით, წლების განმავლობაში მისი ოჯახის საკუთრება იყო, ზაჰირ ჰუსეინოვს მალხაზ მახარაძის შუამავლობით მიჰყიდეს. მახარაძის მტკიცებით, ჰუსეინოვმა ტილოს მესაკუთრეებს თანხის მცირე ნაწილი, 8 ათასი დოლარი გადაუხადა, რის გამოც, ოჯახმა სასამართლოს მიმართა და ჰუსეინოვის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი მოიგო. ეკა აბაშიძე საქალაქო სასამართლოდან იმ საბუთებს გამოთხოვას აპირებს, რის საფუძველზეც 2013 წელს ზაჰირ ჰუსეინოვს ქონება დაუყადაღდა.

შეგახსენებთ, რომ თურქმა სამართალდამცველებმა ჰოლანდიელი მხატვრის ანტუან ვან დეიკის ტილოს არალეგალურად გაყიდვის მცდელობის ბრალდებით ორი ბიზნესმენი 8 იანვარს, სტამბულში დააკავეს.

◎ ვინ ვის აჯობებს?

გაუგრძელებენ თუ არა „ქართულ ოცნებას“ კონტრაქტს?

როგორც ამბობენ, აზარტული მოთამაშეები ძირითადად იმიტომ მარცხდებიან, რომ არ იციან ან არ შეუძლიათ თამაშის დროზე დამთავრება, რათა მოგებული შეირგონ. სხვათა შორის, ასე დაემართა საакაშვილის ხელისუფლებას, რომელსაც მეტი და მეტი მოგება სურდა. მათ მიაჩნდათ, რომ თუკი თამაშს შეაჩერებდნენ, ყველაფერს დაკარგავდნენ. ეს „სენი“ სხვათა შორის ყველა პოლიტიკოსს და პარტიას სჭირს, რა თქმა უნდა, სხვადასხვა დოზით, და არც „ქართული ოცნებაა“ გამონაკლისი. მის ლიდერებსაც სურთ რომ 2016 წლის შემდეგაც გააგრძელონ თამაში როგორც სახელისუფლებო პარტიამ. თუმცა, გააჩნია რა მეთოდს აირჩევენ იმისათვის, რომ თამაშის მორიგი პარტია მოიგონ.

ხელისუფლებას ორი არჩევანი აქვს. პირველი — თამაში მოიგოს დადგენილი წესებით, ისე როგორც გამოცდილი მოთამაშეები იგებენ და მოგებულს მშვიდი სინდისით იღებენ. პოლიტიკურ ენაზე ეს ნიშნავს არჩევნებამდე ქვეყანა მიიყვანოს შედარებით მშვიდ გარემოში და სხვა პარტიებს სამოქმედო ველი დაუტოვოს. მეორე გზა — თამაში მოიგოს დაუდგენელი წესებით. წინაასარჩევნოდ მისთვის სასარგებლო გარემო სიტუაციის ესკალაციით შექმნას და ამით მოსახლეობის ემოციური ტონუსი გაზარდოს. ტრადიციულ წინასაარჩევნო „პურსა და სანახაობას“ (პენსიების მატება, სოციალური თუ ინფრასტრუქტურული პროექტები) შეიძლება დაემატოს საინფორმაციო-პროპაგანდისტული კომპონენტი (გოგა ხაინდრავას ფილმი სააკაშვილის მმართველობის პერიოდზე, ბესელიას კომიტეტის მიერ მომზადებული დიდი დოკუმენტი „ნაციონალების“ მიერ ჩადენილ სისტემურ დანაშაულებზე, „შავი დღისათვის“ შემონახული სკანდალური კადრები წინა ხელისუფლების დანაშაულებზე და ა.შ). არ არის გამორიცხული, რომ ამას მოჰყვეს სამართლიანობის აღდგენის დროშით რამდენიმე რეზონანსული საქმე და ხმაურიანი დაჭერები. თუმცა, რამდენად გაჭრის წინასაარჩევნოდ ერთი და იგივე მეთოდების გამოყენება და მოხდება თუ არა ამ გზით პოლიტიკური კონიუნქტურის „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ შემოტრიალება, ჯერ კიდევ საკითხავია. ხალხი, რა თქმა უნდა, აღშფოდება, მაგრამ ეს აღშფოთება შეიძლება არ გარდაიქმნას ხელისუფლებისათვის მიცემულ ხმებად იმ რაოდენობით, რასაც ის ელოდება. არის იმის რისკიც, რომ ხელისუფლებამ ეს გახმაურებული საქმეები, ისე როგორც არაერთხელ მომხდარა, ჩაფლავოს და არჩევნებამდე ბოლომდე ვერც მიიყვანოს. აი, მაშინ კი ელექტორატში მართლა გაჩნდება დიდი მოთხოვნა იმ პარტიებსა და პოლიტიკოსებზე, რომლებიც საზოგადოებას დაარწმუნებენ, რომ სამართლიანობასაც ბოლომდე აღადგენენ, საქმეებსაც ბოლომდე მიიყვანენ, ხოლო „ნაცმოძრაობას“ პოლიტიკურ „აუტოდაფეს“ მოუწყობენ.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელსაც საარჩევნოდ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და რომელზედაც რატომღაც ნაკლებს ან საერთოდ არაფერს საუბრობენ. ეს არის ადგილობრივი ბიუროკრატია ანუ უზარმაზარი ჩინოვნიკური აპარატი. იმაზე თუ როგორ მოიქცევა ის არჩევნების დროს, ბევრად იქნება დამოკიდებული არჩევნების შედეგიც. ის კი არა და ამას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდეს, თუ გავითვალისწინებთ, რა უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენთან არჩევნების მოსაგებად ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას.

სააკაშვილის რეჟიმის მიერ შექმნილი მკაცრ პარტიულ დისციპლინაზე დამყარებული ბიუროკრატიული ვერტიკალი, რომელიც მორჩილად ასრულებდა ზემოდან მიღებულ ნებისმიერ, მათ შორის, უკანონო დირექტივებს, დიდწილად მოიშალა, თუმცა, ბოლომდე არა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ აღმასრულებელ სტრუქტურებში მოკალათებულ ბიუროკრატიაში კვლავაც დიდი დოზით არიან წარმოდგენილი როგორც „ქართულ ოცნებაში“ პორტირებული „ნაცმოძრაობის“ კადრები, ისევე ის კადრები, რომლებიც „ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნებას ელოდებიან და ყველაფერს აკეთებენ, რომ ეს ასე მოხდეს. ჩვენი ბიუროკრატია უკიდურესად პოლიტიზებულია და ამავდროულად უპრინციპო. მას უშეცდომო ყნოსვა აქვს. არჩევნების დროს პირს იქით იბრუნებს, საითაც მეტ ძალას და გავლენას დაინახავს და საიდანაც მისთვის სასურველი სიგნალები წამოვა. მცირე გამონაკლისების გარდა, დღევანდელი ბიუროკრატია, პრაქტიკულად, ყველა დონეზე სხვადასხვა გარიგებებშია ჩაფლული და შედარებით ადვილი სამართავია.

გარდა ამისა, ხელისუფლება რესურსების მწვავე დეფიციტს განიცდის. მაგალითად, მკვეთრად შემცირებულია უცხოური გრანტების მოცულობა, თუ შევადარებთ 2008-2012 წლებში შემოსულ გრანტებს. ასეთ პირობებში სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად მთავრობას სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება სჭირდება. თუმცა, მიეცემა თუ არა მას ამის საშუალება, ამაზე პასუხი ნათელი გახდება მას შემდეგ, რაც მთავრობა მუშაობას სრული სვლით შეუდგება.

ასეა თუ ისე, კვირიკაშვილის მთავრობამ მისთვის გამოყოფილ ცხრათვიან პერიოდში ბევრი ნაკლის გამოსწორებაზე უნდა იზრუნოს და ცხრა თვის შემდეგ საკუთარი პროდუქტი შვას. იქიდან გამომდინარე, თუ რაგორი იქნება ეს პროდუქტი, ბევრად იქნება დამოკიდებული, გაუგრძელებს თუ არა ამომრჩეველი „ქართულ ოცნებას“ ხელისუფლებაში ყოფნის კონტრაქტს.

ზაალ ანჯაფარიძე

რატომ არ ვუსმენთ ერთმანეთს?

ერის კულტურა მარტო ბრტყელ-ბრტყელი სადღეგრძელოებით არ გამოიხატება

თავისუფლების აღდგენიდან 21-მა გრძელმა წელიწადმა განვლო...

25-წლიანი ისტორია ასეთ ჭეშმარიტებას გვკარნახობს – გსურს, კარგად გაგიხსენონ? შეეცადე, შენზე ცუდი მოიყვანო ხელისუფლებაში. მართალია, სააკაშვილს „ოცნება“ შემცვლელად არ მოუყვანია, თვით აპირებდა სხვა ამპლუაში ხელისუფლებაში სამარადისო ყოფნას, მაგრამ მისმა ძალმომრეობამ, ერთმმართველობამ, ღორმუცელობამ შეუწყო ხელი ივანიშვილის გამარჯვებას.

პოლიტიკური კინკლაობის, გაუსაძლისი ცხოვრების, ომების მიუხედავად საბჭოთა ჩარჩოებიდან გადმოსული ქვეყანა აგრძელებდა არსებობას – დიდის გაჭირვებით, წელებზე ფეხის დადგმით, შიმშილით, მაგრამ მაინც. ახალფეხადგმულმა, თვალგახელილმა ქვეყანამ, საბჭოეთის დროს აკრძალული ხილისკენ იწყო ყურება. ევროატლანტიკური სვლა-გეზი მისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად გადაიქცა, რამაც კარდინალურად შეცვალა არა მარტო საკუთარი წარსულისადმი დამოკიდებულება, არამედ აწმყოსა და მომავლისადმი.

სწრაფმა ტრანსფორმაციამ ორად გაყო საზოგადოება – დასავლეთის მაქებრად და ძველის მადიდებლად. ძველში, რუსეთიც იგულისხმება. პირველისთვის – ყველაფერი დასავლური მისაღებია, მათ შორის გეი-პარადები და ერთსქესიანი ქორწინებაც; მეორისთვის – მხოლოდ ტრადიციები, ყოველივე ქართული, სუფრიდან, თამადობიდან დაწყებული, „ჭეშმარიტი თბილისელობით“ დამთავრებული.

პირველი – არ უსმენს მეორეს, უფრო მეტიც, მას არაფრად აგდებს. მეორე კი, გულგახეთქილი, იმედდაკარგული უსმენს პირველს და სასოწარკვეთილს ვერაფერი გაუგია, რამ გამოიწვია მისი შვილების ტრანსფორმაცია. მეორე ცდილობს, ხმა მიაწვდინოს პირველს, მაგრამ ამის საჯარო, მედიური საშუალება არ გააჩნია. რაც აქვს, შეზღუდულია. პირველს, ხელისუფლებასთან ერთად, ის ბერკეტებიც უპყრია ხელთ, მასმედია რომ ჰქვია.

არც ერთს არ სურს პოზიციის შეცვლა. ორივეს მიაჩნია, რომ სწორედ მისი გზაა ტაძრისკენ მავალი. მეორის ამოჩემებასთან დაკავშირებით გავიხსენებ ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ გადაცემას, სადაც წამყვანი და მიწვეული სტუმარი დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რა საამური ცხოვრება იყო თბილისში; რა შესანიშნავი თბილისელები ალამაზებდნენ ქალაქს; რომ თბილისელობა ნიშნავს კაცობას, სიკეთეს, ერთმანეთის გაგებას, გატანას, სიყვარულს და ა.შ.; რომ იყო შესანიშნავი ქართული სუფრა ბრწყინვალე სადღეგრძელოებით, სიმღერებით, ლექსებით; რომ ის იყო თბილისი და არა ეს; რომ იმ თბილისში ცხოვრება სურს ორივეს (წამყვანს და მიწვეულს) და არა პარიზში, ნიუიორკში, სხვა ცნობილ ქალაქში...

მიუხედავად აბურდული ცხოვრებისა, 25 წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. შეიცვალა აზროვნებაც, ცხოვრებისადმი დამოკიდებულებაც. სიწმინდე, რომელზეც ორი ლაპარაკობდა, ისტორიას ჩაბარდა. ის ფულის კულტმა ჩაანაცვლა. ლოზუნგი – „ეთაყვანე ყოველივე ამერიკულს“ – სათაყვანებელი გახდა, ხოლო დოლარი – ცხოვრების სანთელ-საკმეველი. პრაქტიციზმმა შეცვალა უწინდელი „ადამიანურ-კაცური“ ურთიერთობები. დროში გაჭიმული ქართული სუფრები, გაჭიმული „ბრწყინვალე“ სადღეგრძელოები საქმიანმა „ალაფურშეტმა“ ჩაანაცვლა.

ცხოვრების ტემპმა წალეკა ყოველივე წარსული და რომანტიული. მის ნაცვლად მოვიდა პრაგმატიზმი, გაუტანლობა, მოტყუება, ფულის გამო ხოცვა, ხელისუფლებაში მოსასვლელად ამომრჩეველთა მოსყიდვა, ერთმანეთისგან შორს ყოფნა, კარჩაკეტილობა.

დღეს, აღარც ქართველია ისეთი, ორი რომ ლაპარაკობდა სტუდიაში და აღარც საქართველო. ქართველმა ვერ გაუძლო გლობალიზაციას, მოურიდებლად შემოჭრილ დასავლურ ცხოვრებას, ახალ წეს-ჩვეულებებს, ფულზე და მხოლოდ ფულზე აწყობილ ყოფას... ის, სხვად იქცა, გაცილებით მეტ დასავლეთელად, ვიდრე თვით დასავლელი.

შეცვლის ამას ტელესტუდიური შეგონება?

სუფრის, სადღეგრძელოს, „ბრწყინვალე თბილისელობის“ დაბეჯითებული ხსენება, არ არის საკმარისი ქართული სულიერების, ცხოვრების წესის, ტრადიციების შენარჩუნებისთვის. მას სხვაგვარი მიდგომა ესაჭიროება – უფრო პრაქტიკული, გონივრული, საქმეზე ორიენტირებული და არა ზედაპირული, ფასადური.

ერის კულტურა, ისტორია, სულიერება მარტო სადღეგრძელოში ვერ ჩაეტევა. მას დაცვა ესაჭიროება. ომახიანი სიტყვა და არა სადღეგრძელო, საქმიანი ლაპარაკი და არა წარსულში ჩარჩენილი „ბედნიერების“, „თბილისელობის“ ხშირი ხსენება.

აზვირთებული ნეგატიური ტალღის შესაჩერებლად არაერთი აქტუალური თემა არსებობს – გამომზეურება რომ ესაჭიროება. ერთ-ერთი მუზეუმია – ერის კულტურის, საუკუნოვანი ისტორიის, წეს-ჩვეულებების თავმოყრის ადგილი. არის დღევანდელი მუზეუმად წოდებული კულტურის სავანე, სადღეგრძელოში ნახსენები „კულტურული ერის“ შესაფერისი?

სააკაშვილის მრავალწლიანმა მმართველობამ მასაც დაატყო „მზრუნველი“ ხელი და ისეთ დონემდე დაიყვანა, სულს რომ ღაფავს სიკვდილის წინ. სიცივე, სიცხე, ყინვა, უშუქობა, უფულობაგამოვლილმა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა რის ვაი-ვაგლახით მოიტანა თავი სააკაშვილის მმართველობამდე და ის-ის იყო, თავი გადარჩენილად ჩათვალა, რომ ახალი შემოტევის წინაშე აღმოჩნდა – უფრო სერიოზულისა და მზაკვრულის, ვიდრე ზემოჩამოთვლილი.

სახელმწიფო სტრუქტურებში განხორციელებულმა „გამსხვილების“ ტალღამ მუზეუმებსაც გადაუარა და ისე ააწიოკა ეს სათნო საქმე, უარესს რომ მტერიც ვერ ინატრებდა. თუ შსს, საზღვრის დაცვისა და დაზვერვის სამსახურების ერთ „სანდო“ ხელში მოქცევას სახელმწიფო მანქანის სერიოზული რყევა-დასუსტება მოჰყვა, მუზეუმების ერთ ხელში მოქცევას – კულტურისა და ისტორიის რყევა. სხვას ვერაფერს იტყვი ხელოვნების მუზეუმის შემხედვარე – ერთ დროს ქართული ცხოვრების ეპიცენტრში მყოფის. ის დღეებს ითვლის და უბადრუკ შთაბეჭდილებას ტოვებს შემთხვევით მისულ მნახველზე.

არადა, ხელოვნების მუზეუმი, განსაკუთრებით მისი საცავი, უამრავი უცხოელი ტურისტის, სახელმწიფო მოღვაწის, ქვეყნის მეთაურისთვის საჩვენებელი ღირსშესანიშნავი ადგილი იყო. საქართველოს გაცნობა ხელოვნების მუზეუმით იწყებოდა და ამ საქმეში დიდი წვლილი შეჰქონდათ მუზეუმის თანამშრომლებს.

სააკაშვილის ზერელე დამოკიდებულებამ ქვეყნის ისტორიისა და კულტურისადმი, მოჭარბებულმა ზედაპირულობამ, სამუზეუმო საქმის უცოდინრობამ, გააუქმა ხელოვნების მუზეუმის ადმინისტრაცია და სახელმწიფო მუზეუმს დაუქვემდებარა. ანალოგიურ დღეში აღმოჩნდა ქვეყნის 17 მუზეუმი.

აირია მონასტერი, სად რა ექსპონატია, ძნელი დასადგენია. ხელოვნების მუზეუმის ექსპონატები შენობის სხვადასხვა ოთახებშია შეყრილი, ბევრი, განსაკუთრებით ფერწერული ტილოები სხვა მუზეუმებსა და საგამოფენო დარბაზებშია გატანილი.

18 მუზეუმის სათავედ – სახელმწიფო მუზეუმი ითვლება – არცთუ დიდი ხნის წინათ ჩატარებული რემონტით, ჯერაც დაუმთავრებლით. მაგრამ არის ერთი „ნოვაციაც“ – საბჭოურ საშინელებათა სტაციონარული გამოფენა. უყურებ აღნიშნულ „შედევრს“ და ფიქრობ – რა აკავშირებს მას აკადემიურ მუზეუმთან?

სახელმწიფო მუზეუმის პირველ სართულზე გამოფენილი უნიკალური ოქროს ფონდი ნამდვილად საამაყოა, მაგრამ სხვა სართულებზე ძველად არსებული ექსპონატები სად გაქრა?

თანამედროვეობამ სხვა „სიკეთეებიც“ მოიტანა, თუნდაც ასეთი – სახელმწიფო გალერეაში მოდების გამოფენის ჩატარება – პროექტორების მოჭარბებულ შუქზე, ნიკო ფიროსმანის ნახატების წინ; მეღვინეთა ფორუმის მუზეუმის დარბაზებში გამართვა.

ერთი დაწესებულების ხელმძღვანელობა საპასუხისმგებლო, შრომატევადი საქმეა და დიდ ენერგიას, გამოცდილებას, შემართებას საჭიროებს. რაც შეეხება 18 დაწესებულების ხელმძღვანელობას, თანაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გაბნეულის, ტიტანურ შრომას საჭიროებს, რომლის მსგავსი დედამიწაზე ჯერაც არ გაჩენილა...

მუზეუმების გარდა რამდენი საკამათო თემაა, რატომღაც თვალს რომ ვარიდებთ, არ ვლაპარაკობთ და ამ დროს „შესანიშნავი ქართული სუფრა“, „ბრწყინვალე სადღეგრძელოები“. სადღეგრძელოების ან ქართული სუფრის საწინააღმდეგო არავის აქვს, მაგრამ მხოლოდ ამაზე ლაპარაკი, ანაქრონიზმია და როდესაც „ქართული სუფრის“ ზღაპრიდან გამოვფხიზლდებით, აღარც ქვეყანა დაგვხდება და აღარც ამ ქვეყნის შვილები. ისინი დასავლეთში გაიკრიფებიან, მათ ვერაფერი შეაკავებს – ვერც ძველი თბილისი, მისი პერსონაჟებით, ვერც თავაზიანი სიტყვა-პასუხი და მოვყვებით სხვის დადანაშაულებას, არა შინაურის, არამედ გარეულის, ვინაიდან იმის ლანძღვა შეიძლება. შინაურის (თუნდაც გამოსაფხიზლებლად) – არა.

სალანძღავი ობიექტიც რახანია ამოვიჩემეთ – მეზობელი რუსეთი და ვლანძღავთ და ვლანძღავთ სულმოუთქმელად, დაუღალავად. ჩვენს ყველა ნაკლს მას ვკიდებთ ზურგზე, ისე, როგორც ონისე მწარიაშვილმა აჰკიდა ამას წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

„ბრწყინვალე“ სვიმონის (მასხარაშვილი მყავს მხედველობაში) „შედევრების“ მსგავსი მოსაზრება და ისტორიული „წიაღსვლები“ არ წამიკითხავს. მწარიაშვილამდე, თურქეთთან დაკავშირებით, მხოლოდ საკაშვილის საჯარო განცხადება მაქვს მოსმენილი, მაგრამ ონისესეული აჭარბებს – „მსოფლიოს გამოჩენილი ექსპერტების აზრით, კაცობრიობის ისტორიაში ოსმალეთის იმპერია ყველაზე ჰუმანური იმპერია იყო“.

ნამდვილად ჰუმანური იმპერია იყო, რასაც დაპყრობილი ბალკანელები, სხვა ერებიც ამტკიცებენ – ოღონდ შებრუნებით.

ერთ გვერდზე ჩამოთვლილ რუსულ ისტორიულ „ბოროტებას“ ავტორი დიდსულოვნად შეუნდობს და წერს „ყველაფერ ამის მიუხედავად, საჭიროა რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა“.

ონისეს „დახასიათების“ შემდეგ ვის მოუნდება რუსეთთან ურთიერთობა?! არც არავის და ვიქნებით ასე ჩახუტულები თურქეთთან, „ჰუმანურ იმპერიასთან“ – რომელსაც დიდი ოსმალეთის აღდგენის ჭია ღრღნის.

სხვათა შორის, დიდთან ჩახუტებამ, მით უმეტეს თურქეთთან, სულის შეხუთვა იცის! – გიფიქრიათ ამაზე?

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

დედამიწის ზურგზე

ექსტრემისტებმა გამოაცხადეს ფილიპინებზე ისლამური სახელმწიფოს ხალიფატის შექმნის შესახებ

ავსტრალიაში შეშფოთებული არიან, რომ ახალი დაჯგუფება, რომელიც ჩამოყალიბდა ფილიპინების კუნძულ მინდანაოზე, დიდ საფრთხეს უქმნის მთელს რეგიონს. არ არის გამორიცხული, რომ ბოევიკების საქმიანობა გამიზნული იყოს უმთავრესად ავსტრალიელებზე.

* * *

ესპანეთში იწყება სასამართლო მეფის დის საძმესთან დაკავშირებით, რომელსაც ბრალი ედება გადასახადების გადაუხდელობაში

თუ პრინცესა კრისტინას ბრალეულობა დადასტურებული იქნება, მას რვა წლით ციხე ელოდება. მის ქმარზე ინიანკა ურდანგარინზე არის ეჭვი, რომ, გარდა გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებისა, აგრეთვე გაიძვერობაში, დოკუმენტების გაყალბებასა და საზოგადოებრივი სახსრების გაფლანგვაში. საქმეში კიდევ 16 კაცი გადის. ყველა მათგანი უარყოფს ბრალდებას.

* * *

გაერო აგზავნის ჰუმანიტარულ ბადრაგს ალყაში მოქცეულ ძალაძ მადაიაში, სადაც მცხოვრებლები უკვე იღუპებიან შიმშილისაგან

ორგანიზაცია „ექიმები საზღვრებს გარეშეს“ მონაცემებით, ქალაქში დაფიქსირებულია სულ ცოტა 23 მშვიდობიანი მცხოვრების დაღუპვის შემთხვევა. დანარჩენები გადარჩენისათვის ჭამენ ოჯახის ცხოველებს, ჰყვებიან თვითმხილველები.

* * *

„მემარჯვენე სექტორის“ ბოევიკებმა იმიერკარპატების ტურბაზაში სროლები მოაწყვეს

სხვადასხვა მონაცემებით, კონფლიქტში ორიდან ოთხ კაცამდე დაზარალდა. „მემარჯვენე სექტო-

რის“ ხელმძღვანელობაში განაცხადეს თავისი მებრძოლების ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრის შესახებ, თუმცა, ინციდენტის მიზეზებს მაინც არ ასახელებენ. არ არის გამორიცხული კონფლიქტის მოწყობის ალბათობა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებმა სამხრეთ კორეაში დაიწყეს საბრძოლო მზადყოფნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისგან საფრთხის გამო

6 იანვარს ფხენიანმა გამოაცხადა წყალბადის ბომბის წარმატებული გამოცდის შესახებ. განკარგულება კორეაში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების უმაღლეს საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის შესახებ გასცა მეთაურმა კერტის სკაპაროტიმ, რომელმაც მოინახულა ამერიკის ავიაბაზა ქალაქ ოსანში.

რა სნეულებით იტანჯებოდნენ ცნობილი ადამიანები

სახელგანთქმული მწერალი თბილად ეპყრობოდა მედიკოსებს და თავისი ყველაზე ცნობილი გმირი – გულივერი – გემის ექიმი-ქირურგი გახადა.

ზუსტადაა ცნობილი, რომ „გულივერის მოგზაურობა“ სვიფტს შთააგონა მისმა მეგობარმა – ექიმმა ჯონ არტუტნოტმა, რომელიც თავადაც წერდა სატირულ პამფლეტებს. ის გახდა სახელგანთქმული რომანის პირველი მკითხველი.

ამბულატორიული ავადმყოფის სამედიცინო ბარათი

გვარი, სახელი, მამის სახელი:
სვიფტი ჯონათანი

დიაგნოზი: მენიერის სინდრომი
საქმიანობა: მწერალი – სატირიკოსი
დაბადების თარიღი: 1667 წელი
გარდაცვალების თარიღი: 1745 წელი

ცივი წყალი გადაისხი...

სვიფტი ორმოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში იტანჯებოდა მენიერის ავადმყოფობით, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო შესწავლილი. ყველაფერი 20 წლისას დაეწყო – ძლიერი გაცივების შემდეგ ახალგაზრდა ჯონათანი დაავადდა ციების დაავადებით, რომლის გართულებაც სმენის დაქვეითება გახდა. კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაძლიერდა სიყრუე მარჯვენა ყურში და გაჩნდა თავბრუსხვევის შეტევები.

ჯონათანი შეშფოთდა და გაეშურა ექიმთან. მედიკოსმა უთხრა: დაავადების მიზეზია ის, რომ „ძალიან ბევრია სისხლი და იგი მიედინება არასწორი არხით“, და ურჩია, დაიწყოს სისხლის გამოდინება. დამატებით გამოუწერეს დიეტა ცხიმების შეზღუდვით და წყლით მკურნალობა. თერაპიის უკანასკნელი სახეობა იყო არაჩვეულებრივად პოპულარული და ითვალისწინებდა ყოველდღიურად ცივი წყლის გადავლებას.

დრო გადიოდა, სვიფტის ჯანმრთელობა კი სულ უფრო და უფრო უარესდებოდა. მკურნალობა არ შველოდა და ამიტომ შეაჩერეს. თავბრუსხვევა ახლა ზოგჯერ 3-4 დღე გრძელდებოდა. თანაც იგი მეორდებოდა დამაშინებელი რეგულარობით – ყოველ თვენახევარში. დაბოლოს, გაჩნდა სვიფტისთვის ყველაზე არასასიამოვნო სიმპტომი – შუილი ყურებში.

რეცეპტები თაყვანისმცემლებისგან

სვიფტი თავისი მეგობრებისადმი გაგზავნილ მრავალრიცხოვან წერილებში დაწვრილებით აღწერდა თავის ავადმყოფობას, თანაც თითოეული სიმპტომისათვის მას ჰქონდა ერთგვარი სახოვანი შედარება. მაგალითად, შუილს ყურებში ის „ასი ოკეანის ხმაურს“ უწოდებდა.

მან თავად აირჩია ის სპეციალისტი, რომელსაც მთელი დარჩენილი სიცოცხლის განმავლობაში უნდა ედევნებინა მისთვის თვალყური. ეს იყო იმ დროისათვის ცნობილი ექიმი უილიამ კოკბერნი. ის მედიცინის ისტორიაში შევიდა იმით, რომ გამოიგონა ფხვნილი, რომელიც დეზინტერიის დროს ეხმარებოდა ავადმყოფს.

სვიფტს კოკბერნის მკურნალობა ძალიან კარგად მიაჩნდა, ვინაიდან იყო პერიოდები, როდესაც შუილი ყურებში იკარგებოდა, თავბრუსხვევები იყო იშვიათი. მწერალი დისციპლინარულად ღებულობდა ყველა აბსა და წვეთებს, რასაც მას უნიშნავდნენ. ყურებში იწვეთებდა ბალახების ზეთოვან ნაყენებს.

სვიფტი ასევე მადლობით ღებულობდა თავისი ნიჭის თაყვანისმცემელთა ნებისმიერ რჩევასა და წამალს, თავად კი არაჩვეულებრივად პოპულარული იყო. თუ თავად სვიფტს რაიმე შინაური წამალი ეხმარებოდა, ის უმალვე უზიარებდა მას მეგობრებს. ასეთი ურთიერთ თვითმკურნალობა ძალიან პოპულარული იყო მაშინ ირლანდიაში, რაც უცხოელებში გულწრფელ გაოცებას იწვევდა.

განსაკუთრებით აფასებდნენ მწარე გემოს აბებსა და ნაყენებს. იმ დროს ძალიან პოპულარული იყო ქინაქინის ხის ქერქის ფხვნილი, იმით აბსოლუტურად ყველა ავადმყოფობას მკურნალობდნენ.

დაახლოებით ოთხი წლით ადრე გარდაცვალებამდე სვიფტს გაუჩნდა ალცჰეიმერის დაავადების ნიშნები, და შუილი ყურში უკანა პლანზე გადავიდა.

თანამედროვე მიდგომა

მკურნალობის დროს აღწევენ ხანგრძლივ რემისიას, თუმცა, განკურნება შეუძლებელია. შუაყურში სითხის ოდენობის შემცირებისათვის ნიშნავენ დიურეტიკებს (შარდსადენი საშუალებაა) და მკაცრ დიეტას მარილის შეზღუდვით. ვესტიბულარული აპარატის მუშაობის ნორმალიზებისათვის ურჩევენ სედატიურ პრეპარატებს. უწერენ ტვინის სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებელ წამლებს.

კონსერვატიული მკურნალობის არაეფექტურობის შემთხვევაში მიმართავენ ქირურგიულს. თუ თავბრუსხვევა გამოხატულია ძალიან ძლიერად, ქირურგიული გზით ანგრევენ შუა ყურის ვესტიბულარულ აპარატს (აკეთებენ ლაბირინტექტომიას).

შალიაპინის გარდაცვალების შემდეგ ექიმები მისი ავადმყოფობის ისტორიას განიხილავდნენ, როგორც ლეიკოზის ამ ფორმის წარმოძმნის უიშვიათეს შემთხვევას ასეთ არაახალგაზრდულ ასაკში.

როდესაც დიდ რუს მომღერალს დაუსვეს ამ დაავადების დიაგნოზი, ის 65 წლისა იყო. მსოფლიოში, სადაც ჯერ კიდევ არ იყო ხიროსიმა და ნაგასაკი, ხანდაზმული ადამიანების ასეთი დაავადება კაზუისტიკად ითვლებოდა.



ამბულატორიული ავადმყოფის სამედიცინო ბარათი

გვარი, სახელი, მამის სახელი:
შალიაპინი ფეოდორ ივანეს ძე

დიაგნოზი: მწვავე მიელობლასტური ლეიკოზი
საქმიანობა: საოპერო მომღერალი
დაბადების თარიღი: 1873 წელი
გარდაცვალების თარიღი: 1938 წელი

ყოველთვის ენერგიული და მხიარული

შალიაპინი ექიმებთან რეგულარულად დადიოდა – ზრუნავდა ყელის, თავისი შემოქმედებითი ინსტრუმენტის, მდგომარეობისთვის. მთელი ცხოვრების განმავლობაში ის ეწეოდა, ყოველწლიურად იყო ავად ინფლიუენციით (მაშინ ასე ეძახდნენ გრიპს), და ანგინით. ამის გამო იძულებული იყო, გადაეხადა მედიცინის გამოჩენილი ადამიანებისათვის არა მხოლოდ კონსულტაციებისათვის, არამედ გაევლო ყოველმხრივი გამოკვლევები. და არც უნაყოფოდ – ჯერ კიდევ 1905 წელს მას გამოუვლინდა ჯერ ნიკრისის ქარი, მოგვიანებით კი დიაბეტი. ამიტომ რუსეთშიც, პარიზშიც, ემიგრაციის შემდეგ, შალიაპინს ჰყავდა ოჯახის ექიმები, ვისაც ის მთლიანად ენდობოდა.

ჯანმრთელობისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ თავისი შედეგი გამოიღო, და შალიაპინი, მიუხედავად უმჭიდროესი საგასტროლო გრაფიკისა, ყოველთვის იყო ენერგიული და მხიარული. უბედურება მოვიდა, საიდანაც არ ელოდებოდნენ. 1937 წელს შალიაპინმა მოულოდნელად თავი იგრძნო ცუდად. შუბლზე მას გაუჩნდა უცნაური მომწვანო კოპი (ლეიკოზური ინფილტრატი – კანქვეშ სისხლის პათოლოგიურად შეცვლილი უჯრედები, რაც დამახასიათებელია მიელობლასტური ლეიკოზისათვის). კოპი ხელს უშლიდა გრიმის გაკეთებასა და სცენური ქუდების დახურვას. თავდაპირველად ოჯახის ექიმმა ფრანგმა ჟანდრონმა ვერაფერ ცუდზე ეჭვი ვერ მიიტანა და შესთავაზა გამოჯანმრთელებულიყო მორიგი კურორტის დახმარებით. მაგრამ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.

შარიკოვის სისხლი

შემდეგი გასტროლები მომღერალს ისე გაუჭირდა, რომ დაბრუნების შემდეგ სასწრაფოდ მოიწვიეს პარიზის საუკეთესო ექიმების კონსილიუმი. უწინარეს ყოვლისა, მათ აიღეს სისხლი ანალიზისათვის, და როდესაც ანალიზი გაუკეთეს შედეგს, დაასახელეს დიაგნოზი –„ლეიკემია“. მაშინ ეს ნიშნავდა, რომ პაციენტს სულ რაღაც 4-5 თვის სიცოცხლე დარჩენია.

შალიაპინს, იმ დროის ჩვეულებების შესაბამისად, დიაგნოზი დაუმალეს. მკურნალობდნენ სისხლის გადასხის დახმარებით. მონახეს დონორი სისხლის შესაფერისი ჯგუფით, ის აღმოჩნდა ფრანგი გვარით შიენი. ამ გვარს თუ რუსულად გადათარგმნიდი, იყო შარიკოვი. შალიაპნს ეს ფაქტი გაეხარდა, როგორც ბავშვს: განუწყვეტლივ ხუმრობდა, რომ, როდესაც მისი სისხლის ნახევარი შეიცვლებოდა შარიკოვით, პირველსავე კონცერტზე ის კი არ იმღერებს, არამედ იყეფებს.

მაგრამ სისხლის გადასხმამ არანაირი ეფექტი არ გამოიღო. შალიაპინი სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. ის კვდებოდა სახლში ცოლისა და შვილების გარემოცვაში. კართან კი მორიგეობდნენ ჟურნალისტები – რუსი მომღერლის პოპულარობა უზარმაზარი იყო.

ლეიკოზის ეს სახეობა – ახალგაზრდების დაავადებაა, უფროსი ასაკის ადამიანები ამით ავადდებიან მხოლოდ რადიაქტიური გამოსხივების შედეგად. ამიტომ დღემდე საუბრობენ იმის შესახებ, რომ შალიაპინმა რადიაქტიური ნივთიერებების ან სხვა ნელა მოქმედი შხამის ზემოქმედება განიცადა და რომ მისი გარდაცვალება დაკვეთილი მკვლელობა იყო.

თანამედროვე მიდგომა

დღეს მკურნალობა ქიმიოთერაპიისგან შედგება. თავდაპირველად ცდილობენ, მიაღწიონ რემისიას, შემდეგ კი ანადგურებენ ნალექ სიმსივნურ უჯრედებს. პროგნოზი ავადმყოფის ასაკზეა დამოკიდებული. უფრო ახალგაზრდებს იოლად გადააქვთ მკურნალობა, და შემთხვევების 20-30 პროცენტში შედეგი სასურველია. 60 წელზე მეტი ასაკის ადამიანებისთვის მკურნალობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად დაბალია.

Аргументы и факты ЗДОРОВЬЕ

◎ კონსტიტუციური უფლებები

ნარკოდანაშაულში მსჯავრდებულები სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით უთანასწორო მდგომარეობაში არიან

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) საკონსტიტუციო სასამართლოში სამი მოსარჩელის ინტერესებს დაიცავს. კონსტიტუციური სარჩელი „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელისა“ და EMC-ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მომზადდა.

როგორც ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი იტყობინება, სარჩელში სადავოდ არის გამხდარი „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმები, რომლის საფუძველზეც, ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულ პირებს ავტომატურად, წინასწარ განსაზღვრული ვადით ეზღუდებათ რიგი უფლებები, მათ შორის, ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის, საჯარო სამსახურში საქმიანობის, საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის და სხვა უფლებები.

მოსარჩელეების აზრით, ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებული პირები იმყოფებიან უთანასწორო მდგომარეობაში სხვა მსჯავრდებულებთან შედარებით და მათზე ვრცელდება არაპროპორციულად მძიმე სამართლებრივი შეზღუდვები. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული სასჯელების გარდა, მათ მიმართ დამატებით გამოიყენება უფლებების შეზღუდვის მექანიზმი, რაც ამძიმებს მსჯავრდებულთა სამართლებრივ მდგომარეობას და ხელს უშლის მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნებას, პირადი და ოჯახური ცხოვრების განხორციელებას.

მოსარჩელეების პოზიციით, უფლებების ჩამორთმევის მექანიზმის არაკონსტიტუციურობის ერთ-ერთი წინაპირობაა ის, რომ მისი გამოყენებისას მოსამართლე არ სარგებლობს დისკრეციით. კერძოდ, მას არ შეუძლია ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებებისა და მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლების მიხედვით განსაზღვროს, არის თუ არა საჭირო სასჯელთან ერთად უფლებების დამატებითი შეზღუდვის მექანიზმის გამოყენება, ასევე რა ვადით და რომელი უფლებების ჩამორთმევაა საჭირო მსჯავრდებულისათვის, რათა სასჯელის ყველა მიზანი იყოს მიღწეული. ამდენად, უფლებების ჩამორთმევა ავტომატურ რეჟიმში ხდება და ის სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს არ უგულებელყოფს.

სარჩელში ასევე სადავოდ არის გამხდარი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმა, რომელიც განზრახ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის მქონე პირებს ავტომატურად უზღუდავს საჯარო სამსახურში საქმიანობის განხორციელების უფლებას მიუხედავად ჩადენილი დანაშაულის ტიპისა და ნასამართლობის სტატუსის მქონე პირის პიროვნული მახასიათებლებისა. ამასთან, შეზღუდვები ვრცელდება საჯარო სამსახურში არსებულ, ნებისმიერი ტიპის საქმიანობაზე, რაც კიდევ უფრო ზრდის პირის უფლებებში ჩარევის ინტენსივობას, ამძიმებს ნასამართლევი პირების ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას.

სადავო ნორმებით არაერთ პირს აქვს შეზღუდული რიგი უფლებები, რის გამოც, ისინი ვერ ახერხებენ საკუთარი კონსტიტუციური უფლებებით სრულყოფილ სარგებლობას, საკუთარი ცხოვრების დაგეგმვასა და სოციალურ მდგომარეობაზე ზრუნვას, მიუხედავად იმისა, რომ მათ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელები სრულყოფილად მოიხადეს.

ჯი-ეიბ-ეინ

◎ ფარიკაობა

ძმის მარცხისთვის რევანში აიღო

12 ძვეყნის 106 წარმომადგენელი მონაწილეობდა სტამბოლში გამართულ მოხმალავეთა მსოფლიოს თასზე. საქართველოდან მედლებისთვის 13 მოფარიკავე (მთავარი მწვრთნელი მერაბ ბაზაძე) იბრძოდა. განსაკუთრებით სანდრო ბაზაძემ გამოიჩინა თავი: ჯგუფში ყველა მეტოქეს სძლია, პლეი ოფში ჯერ მექსიკელი იულიან აიალა დაამარცხა – 15:5, მერე თურქი ათატან ჰეზერი დაჯაბნა – 15:10, ნახევარფინალში თანაგუნდელ მიხეილ მარდალეიშვილს მოუგო – 15:6 და ფინალში გავიდა, სადაც კანადელ იოზეფ პოლუსიფაკისს შეხვდა. ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში ბექა ბაზაძე ჩამოიშორა გზიდან – 15:9. გადამწყვეტ პაექრობაში სანდრო ბაზაძემ ძმის მარცხისთვის რევანში აიღო – 15:13 და მთავარ პრიზთან ერთად რიოს ოლიმპიადისთვის სარეიტინგო ქულებიც დაიმსახურა. მესამე ადგილებზე გავიდნენ მიხეილ მარდალეიშვილი და ბექა ბაზაძე, რომლებმაც პლეი ოფში, შესაბამისად, რიკარდო ბუსტამენტეს (არგენტინა, 15:14), მოჰამედ ანაზისს (თურქეთი, 15:8), გიორგი გეორგიევს (ბულგარეთი, 15:3) და ენვერ ელდირიმს (თურქეთი, 15:12) გადაუღობეს გზა კვარცხლბეკისკენ.

იყოჩაღა ახალგაზრდა მოფარიკავე ნიკა შენგელიამაც. ჯგუფში მიღწეული წარმატების შემდეგ პლეი ოფის პირველსავე პაექრობაში მოუგო ბერძენ ცატურატისს, რომელიც 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრის ერთ-ერთი კანდიდატია. მერვედფინალში ქართველმა მოხმალავემ სახილ იალინს (თურქეთი, 15:14) სძლია, მაგრამ მეოთხედფინალი იოზეფ პოლუსიფაკისთან დათმო – 8:15.

გოგონებში ქართველმა მოხმალავეებმა – ლიკა ჯიჯიეიშვილმა, ელენე ნანობაშვილმა, ანა აფრასიძემ, მარიამ აფციაურმა და ნუცა იაგორაშვილმა იასპარეზეს. მათგან მეოთხედფინალში მხოლოდ ჯიჯიეიშვილი გავიდა, იქ კი მისი წინსვლა არგენტინელმა პერეს მარია ბელემ შეაჩერა – 15:7. სამხრეთამერიკელმა შემდეგ კიდევ ორ მეტოქეს მოუგო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ჩვენი მოხმალავე ვაჟები (სანდრო და ბექა ბაზაძეები, მიხეილ მარდალეიშვილი, საბა სულამანიძე, ნიკა შენგელია) მერაბ ბაზაძის ხელმძღვანელობით 19-28 იანვარს მოსკოვში საწვრთნელ შეკრებას გაივლიან, 29 იანვრიდან კი პადოვაში (იტალია) მსოფლიოს პირად-გუნდურ და ევროპის გუნდურ თასებზე იასპარეზებენ.

ლაშა დიდია

სურათზე: მარცხნიდან – სანდრო ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, ბექა ბაზაძე.

◎ ფრენბურთი

უიღბლობა შინ და გარეთ

19-წლამდელ ფრენბურთელ გოგონათა 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპს თბილისის ფრენბურთის სასახლემ უმასპინძლა. შეჯიბრებაში საქართველოს, ინგლისისა და ბელარუსის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

მასპინძლებმა **(გურანდა კვერნაძე, მარიამ გაფრინდაშვილი, გვანცა ულუმბეგაშვილი, ელისაბედ ფალავანდიშვილი, ქეთევან ბლუაშვილი, ანა კალანდაძე, სოფო ჩომახიძე, ანა ბაცაცაშვილი, მზია ვაშაკიძე, გვანცა მარქარაშვილი,** მთავარი მწვრთნელი **პაატა ულუმბეგაშვილი,** მწვრთნელი **გიორგი ქართველიშვილი) ბრიტანელებს აჯობეს - 3:0 (25:16, 25:13, 25:10), მაგრამ ინგლისელთა მძლეველ (3:0) ბელარუსებთან 1:3 (16:25, 14:25, 25:19, 15:25) დამარცხდნენ და მე-2 ადგილს დასჯერდნენ. მომდევნო ეტაპზე ბელარუსის ნაკრები გავიდა.**



* * *

შვეიცარიის ქალაქ შაფჰაუზენში გამართულ ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ რაუნდში საქართველოს 20-წლამდელ ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ორივე მატჩი წააგო შვეიცარიასა და ნორვეგიასთან ერთნაირი ანგარიშით – 0:3. A ჯგუფში პირველი ადგილი ნორვეგიელებს ერგოთ, რომლებმაც მასპინძლებს 3:2 აჯობეს.

გივი გაგუა

◎ კალათბურთი

„ველურები“ ვერავინ აღაგმა

სუპერლიგის მეთოთხმეტე ტურში დედაქალაქის ახალმა სპორტის სასახლემ ქართულ „ელ კლასიკოს“ უმასპინძლა: თბილისის „დინამო“ – „ქუთაისი“.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლიდერთა ტრიოს წარმომადგენელთა შეხვედრა უშეღავათო ბრძოლით წარიმართა, რომლის ბედიც სტუმართა სნაიპერების – ძმები ბარბაქაძეების ზუსტმა შორეულმა ტყორცნებმა გადაწყვიტა – 79:68.

აღსანიშნავია, რომ თუ მატჩის პირველ ნახევარში უმცროსი „ველურა“ – გიორგი გამოირჩეოდა, შესვენების შემდეგ უკვე გუნდის კაპიტნის – დავითის ჯერი დადგა, რომელთაც კარგად აუბა მხარი ბექაურმა. რაც შეეხება „თეთრ-ლურჯთა“ მთავარ კოზირს – ფარქვეშ შედეგიან თამაშს, შარაბიძე და ლონდარიძე დებიუტშივე დაიტვირთნენ პერსონალური შენიშვნებით, რის გამოც მთელი სიმძიმე მათ უკანახაზელ პარტნიორებს დააწვათ მხრებზე, თუმცა, ბერიშვილი და, განსაკუთრებით, შვანგირაძე, ამჯერად შორს იყვნენ ჩვეული ჩუბინობიდან, რაც ტაბლოზეც აისახა.

დრამატულად განვითარდა მოვლენები კიდევ ერთი „ყოჩის“ – „ბათუმისა“ და „სოხუმის“ ზღვისპირულ დერბიში.

მას შემდეგ, რაც დევნილთა კლუბის ძირითადმა ცენტრმა ჯგერენაიამ ოპერაცია გაიკეთა, ვაჟა კვარაცხელიას შეგირდთა გიგანტ ათუაშვილს (4 ქულა) მხარდაჭერა მოაკლდა, თუმცა, ეროვნული ნაკრების ყოფილი წევრის ფაცაციას სახით (29 ქულა) მათ საიდუმლო იარაღი აღმოაჩნდათ, რომელიც წარმატებით გაისროდა კიდეც, რომ არა ორმაგი დუბლის ავტორი დვალიშვილი (20 ქულა, 11 მოხსნა). სწორედ მან ჩააგდო უკანასკნელ წამზე გამარჯვების მომტანი ბურთი – 74:73. აჭარელთა ლეგიონერებმა – სტეპანიშინმა და კრივცოვმა, შესაბამისად, 23 და 14 ქულით გაიმდიდრეს პირადი მონაგარი.

„მგზავრები“ – „აკადემია“ 91:87, „ოლიმპი“ – „რუსთავი“ 82:75.

სატურნირო მდგომარეობა: „ბათუმი“ – 10, „ქუთაისი“, „დინამო“ – 9-9, „მგზავრები“ – 8, „სოხუმი“ – 7, „ოლიმპი“ – 6, „რუსთავი“ – 5, „აკადემია“ – 2 მოგება.

* * *

გუშინ ზაზა ფაჩულიამ სეზონში მეცხრამეტე დუბლი შეასრულა – 13 ქულა, 11 მოხსნა, რითაც „დალასს“ სტუმრად „მინესოტასთან“ გამარჯვებაში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი – 93:87. ტეხასელთა ლიდერმა ნოვიცკიმ 29 ქულა მოაგროვა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ წყალბურთი

ევროპის ჩემპიონატი წაგებით დაიწყეს

ბელგრადში დაწყებულ წყალბურთელ ქალ-ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე რამდენიმე მატჩი უკვე გაიმართა. გუშინ საქართველოს ნაკრები რუმინეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა.

საქართველო-რუმინეთი 6:12 (1:2, 3:2, 1:5, 1:3)

საქართველო: ნიკოლოზ შუბლაძე, ბექა ქავთარაძე, დამირ ცრეპულია (2), მარკო ელეზი (1), ანდრია ბითაძე, მარკო ელაჩა, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია (2), ზურაბ რურუა (1), კოტე გეგელაშვილი, ხვიჩა ჯახაია, რევაზ იმნაიშვილი, ივან სტრუიჩი, მწვრთნელები – იოვან პოპოვიჩი, ვლადიმერ ისელიძე.

რუმინეთი: **დრაგოშ სტოენესკუ, კოსმინ რადუ (1), ტიბერიუ ნეგრეანი (3), მიხნეა გეორგე (4), ნიკოლაე ოანტა, ანდრეი ბუსილა (1), დანიელ ტეოხარი (2), მიხნეა ჩიოვეანუ, დიმიტრი გოანტა, როლანდ საბო, ალექსანდრუ ჩიბანი (1), ალექს პოპოვიციუ, მარიუს ფლორიანი, მთავარი მწვრთნელი დეიან სტანოიევიჩი.**

საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ზედიზედ მეორედ თამაშობს და გუშინ ჯგუფური ეტაპის პირველ ტურში რუმინეთს შეხვდა. მატჩის მე-3 წუთზე ელეზმა ანგარიში გახსნა. ნახევარი წუთის შემდეგ ტეოხარიმ წონასწორობა აღადგინა. პირველი პერიოდის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ნეგრეანმა კარპატელები დაანინაურა. მეორე რვაწუთიან მონაკვეთში ქართველებმა იმარჯვეს – 3:2. შესვენების შემდეგ რუმინელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ მიერ გატანილ 8 გოლს ჩვენებმა მხოლოდ 2 ბურთით უპასუხეს და 6:12 დამარცხდნენ. მორიგ მატჩს საქართველოს ნაკრები ხვალ გერმანიასთან გამართავს.

აქვე ჩემპიონატის პირველ ორ დღეს გამართულ სასტარტო ორთაბრძოლათა შედეგებსაც გაუწყებთ:

ვაჟები

A ჯგუფი. ესპანეთი-სლოვაკეთი 13:4, ჩერნოგორია-ჰოლანდია 13:6; **B ჯგუფი.** საფრანგეთი-მალტა 17:7, ხორვატეთი-სერბეთი 6:13.

ქალები

A ჯგუფი. პორტუგალია-საბერძნეთი 3:27, ჰოლანდია-უნგრეთი 14:10, რუსეთი-თურქეთი 29:0. **B ჯგუფი.** ხორვატეთი-ესპანეთი 3:29.

ლექსო ცინცაძე

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

იტალია. „ფროზინონე“ – „ნაპოლი“ 1:5, „სამპდორია“ – „იუვენტუსი“ 1:2, „ინტერი“ – „სასუოლო“ 0:1, „ფიორენტინა“ – „ლაციო“ 1:3, „რომა“ – „მილანი“ 1:1.

ესპანეთი. „სელტა“ – „ატლეტიკო“ 0:2, „ბარსელონა“ – „გრანადა“ 4:0, „რეალი“ – „დეპორტივო“ 5:0, „სევილია“ – „ბილბაო“ 2:0, „სოსიედადი“ – „ვალენსია“ 2:0.

საფრანგეთი. „პარი სენ-ჟერმენი“ – „ბასტია“ 2:0, „მონაკო“ – „გაზელეკი“ 2:2, „ლიონი“ – „ტრუა“ 4:1, „მარსელი“ – „გენგამი“ 0:0, „მონპელიე“ – „ბორდო“ 0:1.

გიორგი შოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ვინ ეფანტქვალა ნეიმარის დას?

როგორც ჩანს, ბრაზილიაში არ უწყიან ძველქართული სიბრძნე, რომ „კაი ბიჭის დას ხელი არავინ უნდა დაადოს“ თორემ, აბა, ბრაზილიელი ნეიმარის დის რაფაელას გაბახება იქნებოდა? ნუ, ახლა ტერმინი „გაბახება“ სიტყვის მასალად ვიხმარეთ, თორემ კაი დაშხოშიან სექსზე არც თავად ნეიმარის და ყოფილა უარს.

როგორც გაირკვა, ბრაზილიურ საფეხბურთი კლუბ „სანტოსის“ ფეხბურთელი და ნეიმარის აწ უკვე ყოფილი მეგობარი ლუკაშ ლიმა, ნეიმარის დას ჯერ პლატონურად, შემდეგ კი რეალურად ყვარობდა და მისი ეს „ტრფობა წამებულისა“ ფრთაშესხმულ ვნებად და სექსის ქარაშოტად გარდაიქცა.

ჯერჯერობით უცნობია ნეიმარის პოზიცია ამ ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ რაკი შევთანხმდით, რომ ბრაზილიელებს „ქართული გაგება“ არ ესმით „კაი ბიჭის დის“ თემასთან დაკავშირებით, სავარაუდოა, რომ „ბარსელონას“ შემტევი ამ ამბავზე დიდ წიოკს სულაც არ ატეხავს და ლუკაშ ლიმასაც ეს ოღრაშობა ხახვივით შერჩება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კაკალ გულში

იქნებ ვუშველოთ!

●სანამ რამე სისულელე უთქვამს ზოგიერთ პარლამენტარს (გვარებს არ დავასახელებ), მანამდე #NBAVOTE Zaza Pachulia!

● საფრანგეთის იუსტიციის მინისტრი მოერევა თუ ნორვეგიაში „მოღვაწე“ ქართველი დიპლომატები?

(თოფაძე და ტყემალაძე გამორიცხეთ. მათ თვით კანონი აძლევს უფლებას ბინის ქირა სახელმწიფო ბიუჯეტიდან იხადონ.

● ახლა ვნახე ლეონიდ ჩერნოვეცკის პოსტი.11 000 მოწონება აქვს.

გატყუებენ ლეონიდ!!!

● ნუ ნერვიულობთ, გიგი თევზაძე არ არსებობს! მაგისი მშობლები ოკუპაციის დროს ქუნქურებდნენ!

● ვიზალიბერალიზაცია რომ შევა ძალაში, აღდგომაზე ევროპელები იტყვიან - უჰ, 3 დღით ძლივს არ დაიცალა ევროპაო.

● დედას გეფიცებით, ძალიან მაინტერესებს, რად უნდათ თევზაძეს, ლომჯარიას, გიგაურს, ნაცვლიშვილს დ.ა.შ. ფული? ახლა არ მითხრათ, ვილებს ყიდულობენ ნიცაში, რესტორნებს ხურავენ საახლობლოსთვის, ან კლუბებში და კაზინოებში დადიანო. ვერც იმას დავიჯერებ, ბრილიანტი „აღმოსავლეთის ვარსკვლავი“, ან იახტა იყიდონ.

მე მგონი, მაგათ რაღაც უცხო დაავადება სჭირთ და კეთილო ხალხო, იქნებ ვუშველოთ?

● ისე, „დინამოს“ სტადიონის ადგილზე (საერთოდ, — სტადიონების...), ერთი-ორი კაი კორპუსი ჩაიდგმებოდა.!!!

● იქ, სადაც შობა ოკუპაციაა, მურუსიძე მსხვერპლია, ნარმანია მერია, თინა სპასალარია, ნინია შარიათია და გივი სიხარულიძეა, იყო პატარა ლეო, გაიზარდა ლეო და გამოვიდა სრული @@ეო!!!

● ეს სიცრუის თავისუფლება რომ გადარჩა, ძალიან მიხარია, ახლა უნამუსობის და მკრეხელობის თავისუფლებაა საფრთხეში!!!

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ უნივერსიტეტის კათედრის ხელმძღვანელს, პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილს მამის

გივი მექვაბიშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებელო ფაკულტეტის 170¹ ჯგუფის 1975 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრისა და თანაჯგუფელის

ნოდარ მუმლაურის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ ბარქაია, მურთაზ ხურცილავა, გუჯა ბუბუტეიშვილი, ნოდარ ყურაშვილი, სპარტაკ ხუნწელია თანაუგრძნობენ ლიანა და გიორგი სიჭინავებს ძმისა და ცოლისძმის, ღირსეული პიროვნების

ანზორ დემერჭიბას

გარდაცვალების გამო.

◎ ინფორმაცია

წინა წლებში დახურული ბაღები ახლა იხსნება

სამგორის რაიონში, მოსკოვის გამზირზე მდებარე ახალაშენებული 128-ე საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნა.

128-ე ბაღი ერთ-ერთია იმ 50-მდე ბაღიდან, რომელიც წინა წლებში სხვადასხვა მიზეზით დაიხურა. შენობა 2007 წელს ავარიულობის გამო დაანგრიეს, მის აღდგენას კი ადგილობრივები წლების განმავლობაში უშედეგოდ ითხოვდნენ.

აღნიშნული ბაღის ფუნქციონირება, ერთი მხრივ, დააკმაყოფილებს იმ ბავშვებს, რომელთაც აქამდე ვერ შეძლეს ბაღში დარეგისტრირება და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს ახლომდებარე ბაღების განტვირთვას.

შენობა ერთმანეთთან დაკავშირებული სამი ფლიგელისგან შედგება და 500-მდე ბავშვზეა გათვლილი. საბავშვო ბაღის მშენებლობა 2014 წლის სექტემბერში დაიწყო. მისი მშენებლობისა და აღჭურვისთვის თბილისის ბიუჯეტიდან 2 600 000 ლარი დაიხარჯა.

გარდა ამისა, თბილისში ამ დროისთვის 6 ახალი ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს, მომავალ წელს კი 10 ბაღის მშენებლობის დაწყებაა დაგეგმილი.

სუიციდი ბორჯომში

ბორჯომში მე-12 კლასის მოსწავლე ბიჭმა თავი ჩამოიხრჩო. ამის შესახებ ინფორმაციას შსს-შიც ადასტურებენ. შსს-ს ცნობით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

გავრცელებული ინფორმაციით, თვითმკვლელობამდე ბიჭმა მეგობარს დაურეკა და უთხრა, რომ თავის მოკვლას აპირებდა. მეგობარმა მასთან დარეკვა სცადა, თუმცა, არავინ პასუხობდა. მან სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა, თუმცა, ექიმებმა მოზარდის გადარჩენა ვერ შეძლეს. იგი არამიანცის კლინიკაში გარდაიცვალა.

◎ ამინდი

ძველით ახალ წელს მოთოვს

12-13 **იანვარს** საქართველოს ცალკეულ რაიონში მოსალოდნელია მცირე ნალექი. ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში +13, +18 გრადუსია მოსალოდნელი. აღმოსავლეთ საქართველოში დღეს იქნება +6, +11, ხოლო 12 - 14 იანვარს +10, +15 გრადუსი.

14-15 იანვარს მოსალოდნელია ამინდის გაუარესება, წვიმა, მთაში თოვლი, ზოგან შესაძლებელია ძლიერი, მაღალმთიან რაიონებში ზოგან ქარბუქი, იქროლებს დასავლეთის ძლიერი ქარი. დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა დაიკლებს +5 +10 გრადუსამდე.

16-17 იანვარს უნალექო ამინდია მოსალოდნელი.

◎ ადამიანი და საკვები

მყრალი „დელიკატესები“

აღმოსავლეთის ქვეყნებში მიჩნეულია, რომ ბაყაყებისა და გველების ჭამა მამაკაცებისთვის მეტად სარგებლიანია. აღმოსავლური „მოდის“ ბევრი სხვა კომპონენტის მსგავსად, ამ მტკიცებას აყოლილმა ევროპელებმა და ამერიკელებმა, რომლებსაც „ეკოლოგიურად სუფთა კვებასთან“ დაკავშირებით ერთგვარი „გადახრა“ აქვთ, თახვების, ზაზუნების, ენოტებისა და კიდევ ვინ მოთვლის რამდენი სხვა „ეგზოტიკური“ ცხოველის ხორცის ჭამა დაიწყეს...

ისე, კაცმა რომ თქვას, ადამიანი, ფაქტობრივად, ყველაფერს ჭამს (და ინელებს კიდეც!), რაც კი წყალში თუ ხმელეთზე იზრდება, დარბის, დადის, დაღოღავს, დაცურავს, ჰაერში დაფრინავს. მაგრამ, ეს განა ყველასთვის ერთიანად სასარგებლოა?

სხვადასხვა ხალხს გარკვეული საკვები აქვს, რომელიც განსაკუთრებულად მარგებლად, ანდა, სულაც, სამკურნალოდ ითვლება. მაგრამ ის, რაც, ვთქვათ, ჩინელისთვის ან ესკიმოსისთვის დელიკატესია, ევროპელისთვის სრულიად მიუღებელია. ამიტომაცაა, რომ ხშირად ამბობენ — კაცმა ის უნდა ჭამოს, რაც მის მშობლიურ მხარეში იზრდება ან ცხოვრობს. თუმცა კი პროფესორი **ალექსანდრე ბრონშტეინი** ამბობს, რომ ეს მტკიცება, ცოტა არ იყოს, საკამათოა.

— მაგალითად, ციმბირის მოსახლეობას ტრადიციულად უყვარს მცირედ დამარილებული თევზი და ხიზილალა, არადა, ზოგიერთ მხარეში ამ სურსათის თევზის პარაზიტებით დაზიანება 80 პროცენტს აღწევს! — ამბობს დოქტორი ბრონშტეინი. — ჩუქჩების ერთ-ერთი საყვარელი საჭმელია კოპალგინი — ლომვეშაპის, სელაპის და სხვ. ხორცს ნახევარი წლით მიწაში ფლავენ (მუდმივი გამყინვარების პირობებში ხორცი თავისებურად ფერმენტდება). ამ ხორცის ჭამა მერე მხოლოდ ჩუქჩებს შეუძლიათ, რადგან „დელიკატესს“ შმორის საშინლად მყრალი სუნი ასდის, თანაც სხვა ტომის კაცი აუცილებლად დაავადდება ტრიხონელოზით, უმძიმესი პარაზიტული დაავადებით. ისლანდიაში კი ზუსტად ამ მეთოდით „ამზადებენ“ ზვიგენის ხორცს, თუმცა კი ასეთი „სურსათის“ მარგებლიანობა ერთობ საეჭვოა — იგი ამიაკს შეიცავს და მისი უმძაფრესი „სურნელებაც“ ასდის.

ამასთან, ბევრს ჰგონია, რომ გარეულ ცხოველთა ხორცი აუცილებლად ეკოლოგიურად სუფთაა, რადგან მას ხელოვნურ საკვებს არავინ აძალებს, თუმცა კი ესეც მთლად ასე არ არის. საქმე ისაა, რომ თუკი გარეული ცხოველი მარტო ბალახით არ იკვებება, იგი, შესაძლოა, უაღრესად სახიფათო პარაზიტებით იყოს დაავადებული, რომლებსაც ხორცის თერმული დამუშავებაც ვერ ხოცავს. ამდენად, დათვის, მაჩვის, ტახის, მელიის ხორცი პოტენციურად სახიფათოა.

ბევრნი მიიჩნევენ, რომ თუკი საეჭვო სურსათს არაყს დააყოლებენ, მაშინ ხიფათსაც გადაურჩებიან. მართალია, ალკოჰოლი აძლიერებს კუჭ-ნაწლავის გაწმენდის უნარს, რის შედეგად ორგანიზმი დაბინძურებული სურსათისგან უფრო მალე თავისუფლდება, მაგრამ ეს ასპროცენტიანი დაცვა მაინც არ არის.

გაგაცნობთ ყველაზე უჩვეულო ეროვნულ კერძებს, რომელთა ჭამაც შეიძლება:

ბალუტი — მოხარშული იხვის კვერცხი, რომლის გულში ჭუკის ორკვირიანი ჩანასახია თავის ნისკარტითა და ფრთებით. მას მარილსა და პილპილს აყრიან (ვიეტნამი, ფილიპინები).

მერცხლის ბუდეები — ესაა ძალიან ძვირიანი დელიკატესი. უფრო სწორად კი ეს არის სამხრეთ-ჩინეთის ზღვისა და ბენგალიის უბის ნაპირებზე მობინადრე კუდმაკრატელების ბუდეები, რომლებსაც ფრინველები წყალმცენარეებისა და ჩხირებისგან აგებენ, თან ხიზილალის მარცვლებსა და ლიფსიტებს ამატებენ და ნერწყვით ამაგრებენ. ჩინეთსა და ინდონეზიაში მიიჩნევენ, რომ ეს ლორწო დიდად მარგებელია.

ლაძსა — მალაიზიური ეროვნული თევზის ატრისიანი წვნიანი, რომელსაც ქოქოსის რძეში ხარშავენ და სანელებლებს უმატებენ.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

განცხადება

2016 **წლის** 9 მარტს 14 საათზე, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ცაგერი, რუსთაველის ქუჩა 64), ხოლო 10 მარტს 13 საათზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ამბროლაური, თამარ მეფის ქუჩა №1) გაიმართება „ალპანა ჰესის“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ამბროლაურის და ცაგერის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე 60.11 მგვტ დადგმულის სიმძლავრის „ალპანა ჰესის“ მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

● ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტარციულ შენობაში — ქ. ცაგერი, რუსთაველის ქუჩა 64;

● ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. ამბროლაური, თამარ მეფის ქუჩა №1;

● შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ᵃ.

ტელ: 2 60 15 27. E-mail: j.akhvlediani@gamma.ge

საზოგადოებასთან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღე.

კომპანია „CALIKENERJI“-ს ადმინისტრაცია

განცხადება

2016 **წლის** 6 თებერვალს, 12 საათზე, მარტვილის მუნიციპალიტეტის, სოფ. ნაგვაზაოში, სს „ მარტვილი-94“-ის ადმინისტრაციულ შენობაში შედგება სს „ მარტვილი-94“-ის აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1)მეთვალყურეთა საბჭოს არჩევნები;
2) სხვადასხვა.

სს „მარტვილი-94-ის“ მეთვალყურეთა საბჭო

◎ მამულიშვილის გულისთქმა

რაც შემიძლია...

ИОСЕБ АРЧВАДЗЕ

სიტყვით და საქმით ქართველებს...

მიზანი ფიქრთან ვნებით ლაციცობს,
სურვილიც თითქოს თრთის ახდენილი
და წარმოსახვით ოცნების ველზე
აზრების რემა ქრის „გახედნილი“.

„გახედნილი“ მყავს თითქმის წარსული,
აწმყოც – რიგში დგას ახლა მერმისი;
ასაგები მაქვს ახალი ზარზმა
და გასამართი – ციხე-ხერთვისი...

მოსაგები მაქვს ქვა-საჯილდაოც:
გარნის – მარაბდა, ბოლოს – კრწანისი,
რადგან მწადია მხოლოდ ქვეყანა
იყოს პატრონი თავად თავისი...

მინდას ციხესთან დავცემ დიდ კარავს,
რწმენით ავიღებ ნატვრის გალავანს,
ლაშქრად გასული ნეტავის თვალწინ
შევერკინები ჟამთა ქარავანს.

ვნებით გავფანტავ ეჭვიან ღრუბლებს,
დავცემ ბეჭებზე შურის ფალავანს,
ოფლით დავნამავ სისხლისფერ ვარდებს,
მცველად მივუვალ რწმენის ბალავარს.

არ დავიღლები ტაძრის შენებით,
მოვეფერები თვით ღოდს ნასაყდრალს,
გავიხარჯები ბოლო სუნთქვამდე,
მაინც გავიტან ლელოს გასატანს...

უნდა, გადავცდე სიქველის სამანს,
იმედით ვკურნო სევდა მალული,
რადგან „ქვეყანა, აგრე ლამაზი“
დღეს დასჯილია და გალახული...

უნდა ვურჩიო ვენახს მზის სხივი,
ჯვრად გარდმოვსახო ვაზი ღვთიური,
ავხსნა, რატომაც, ამ ვაზთან ერთად,
საქართველოა მარადიული!

კვლავ დაიმშვენებს კვერთხად თეთრ კავკასს
ვით ცისარტყელას – ჯიღად მამული
და გამრთელდება ჩემი სამშობლო,
ლაჟვარდი ცა და – ცა მეწამული...

2009 წლის ნოემბერი.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

◎ ფონოგრამებიანი სიყალბე

თამარის „წკიპურტი“ გამოასწორებს დემონსტრირებულ „მაიმუნობას“?

„წელი ისევ ტყუილებით დაიწყო... გაუმარჯოს ფონოგრამებიან კონცერტს ერთ-ერთი საკონცერტო დარბაზიდან!!! „გაუმარჯოს“ ხალხის მოტყუებას, თვალში და ყურში ნაცრის შეყრას... „გაუმარჯოს“ ხალხის გამაიმუნებას, მათ სულში ჩაფურთხებას. ქართველი „ირგებს“ თავზე ლაფის დასხმას!!! მეტის ღირსები ვართ!!! რო-დემ-დე? როდემდე უზნეობა, უმოქმედობა და ურეაქციობა?!“ – წერდა სოციალურ ქსელში ცნობილი ქართველი მომღერალი თამარ ჭოხონელიძე.

სხვათაშორის, მისი მხრიდან ეს პირველი „წკიპურტი“ არ არის, რომელიც სიყალბისა და „მაიმუნობის“ (ეს მისი ლექსიკიდანაა) დემონსტრირების მხილებას ემსახურება და საზოგადოების გამოღვიძებისკენაა მიმართული.

ის, რომ საქართველოში ჭეშმარიტ ხელოვნებას ყავლი გაუვიდა და გასაქანი „ფონოგრამებიან კონცერტს“ ეძლევა, არა მარტო ქართველი მსმენელისა თუ მაყურებლის გამოვნების დეგრადაციაზე მეტყველებს, არამედ... დიახ, თუ ქალბატონი თამარის სიტყვებით ვიტყვით, „თვალსა და ყურში ნაცრის შეყრა, სხვა არაფერია, თუ არა ერის ღირსების გრძნობის მოდუნება, საკუთარი ნიჭისა და წლებით (საუკუნეებით) ნალოლიავებ სხვა ფასეულობებზე ნებაყოფლობით უარის თქმა!“

ქალბატონ თამარს იმაშიც ვეთანხმები, რომ ხალხი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იტყუებს თავს, „სულში ჩაფურთხებასაც“ იობის სიმშვიდით ითმენს, მაგრამ ჟურნალისტ სოსო ჭუმბურიძის რეპლიკისა არ იყოს (რომელიც მან თავის კომენტარში დააფიქსირა), არ შეიძლება ნახევარი სიმართლით გამოვასწოროთ საქმე!

არ შეიძლება გაყალბებაზე და ხალხის მოტყუებაზე ვისაუბროთ და არ ვამხილოთ, ვინ არიან ეს მატყუარები და გამყალბებლები. მითუმეტეს, საქმე გვაქვს არა კონკრეტულ გადაცდომებთან, არამედ მყარად ჩამოყალიბებულ ტენდენციასთან, რომლის მიზანი ჭეშმარიტი ფასეულობების ნიველირება და „სიყალბის“ ჭეშმარიტებად შეფუთვაა.

ძნელია იმის თქმა, რატომ მოერიდა ქ-ნი თამარი ამ ემოციური და

ბრალდებებით დახუნძლულ ფეისბუქ-სტატუსში კონკრეტული ადამიანების მხილებას, მაგრამ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: მხილება ეს არის საუკეთესო იარაღი იმ ადამიანების ნამდვილი სახის წარმოსაჩენად, რომლებიც ჩვენი პასიურობით საზოგადოებას უგემოვნების და უნიჭობის მორევში ითრევენ!!!

რაც შეეხება ამღერებულ „ვეფხისტყაოსანს“, ესეც იმ „სტრატეგიული ხაზის“ გაგრძელებაა, რომელსაც მონდომებით თავს გვახვევენ და რასაც ყოველგვარი ნაღდის, ჭეშმარიტად ქართულის დევალვაციამდე მივყავართ!

ანდრია ლისაშვილი

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

გამოიწერეთ:

6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323

ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ კადრი



◎ ცინცხალი ანეკდოტები

ორი საბირჟო სპეკულანტი ერთმანეთს ეწუწუნება:
– მე ამ კრიზისის გამო უკვე დაძინებაც არ შემიძლია.
– მე კი ბავშვივით მძინავს.
– შეუძლებელია!
– ყოველ საათში მეღვიძება და ვტირი!

* * *

– ვერაფრით გამიგია, ამდენს რატომ სვამ?
– რათა ორგანოებად არ გამყიდონ.

* * *

– ძვირფასო, შენ გამოიძახე სანტექნიკოსი? – ეკითხება ქმარი ცოლს.
– ჰო!
– მის ნაცვლად მხატვარი მოვიდა.
– რახან მოვიდა, უნიტაზი მოხატოს!

* * *

– ეძიმო, შესძელით ჩემი ფეხის შენარჩუნება? – ეკითხება ნარკოზიდან გამოსული პაციენტი ქირურგს.
– რა თქმა უნდა, აგერ არის ფორმალინიან ქილაში ჩადებული...

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აღონიერებთ მართალ სიტყვას!